

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთა
ქვეყნის
გაზეთი
№3 (293)

15 მაისი - 15 ივნისი
2022

ფასი 150 ლარი

გაგონის
თვეური პერიოდი



რევაზ მიშველაძე

დაბომბვა რომ მიწყდება, ჯერ დილის ექვს საათზე გამნადმველები გადიან, მერე ჩვენ - მაშველები. მაშველთა ასეულში ორი ქვედანაყოფია - გადამრჩენლები და დამკრძალავები. მე დამკრძალავებთან ვარ. მართალია პრეზიდენტი ზელენსკი ცოტა ცანცარაა და საქართველოზე ბევრ სისულელეს ამბობს, მაგრამ აქ ქართველები ცოტანი როდი ვიბრძვით. ჩვენ სასიკვდილოდ განწირულ მოძმე ხალხს ვიცავთ. ეს არის და ეს.

სანიტარულ ბრიგადას ჩვენი სამეული უკან მიჰყვება. ექიმის ხელმძღვანელის გარეშე მიცვალებულის დასაფლავების უფლება არა გვაქვს.

ჯერ გარდაცვალების მიზეზს დაადგენენ, მერე დაბომბვის მსხვერპლის ვინაობას და ბოლოს ცხედარს მკლავთან ფირფიტას დაუმაგრებენ წარწერით „დაიკრძალოს“.

ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს. უკვე ორი კვირაა ჩამოვედი და რაც ომზე წამიკითხავს და მინახავს, ჩემს წარმოდგენას ყირამალა აყენებს; რუსეთის თავდასხმის პირველ დღეებში ალბათ იყო პანიკა, გაქცევა-გამოქცევა, შიშის სინდრომი, ახლა არა.

მთელი ქალაქი, როგორც ერთი კაცი, როგორც ერთი მანქანა, ისე მუშაობს.

მდუმარედ, წყნარად, ყოველგვარი შეძახილ-აჟიოტაჟის გარეშე, ყველამ თავისი საქმე იცის.

სირენა რომ დაინივლებს, თავშესაფრისკენაც მდუმარედ გარბიან.

მე ასე მონესრიგებული ხალხი არ მინახავს. როგორ უთმობენ გზას თავშესაფრისკენ ქალ-ბავშვს

ეს რა ჩაიდინე ტოლსტოის, დოსტოევსკის და ჩეხოვის რუსეთო?

შენ, რომელმაც ოთხმოცი წლის წინათ ჰიტლერის საშინელებანი შენს ზურგზე იწვინე, როგორ აყევი ავაზაკი პუტინის პოხონდრიებს.

როგორ მიეცი შენი თავი სანყველად მთელ მსოფლიოს.

როგორ მენანები ნეოფაშისტის

ნის ვარცხნილობა აქვს, ველოსიპედი კედელს მიაყუდა, მოვიდა, მიცვალებულს დახედა.

- ეჰ, დმიტრო, დმიტრო, - ჩაილაპარაკა და გაბრუნებას აპირებს.

- იცნობდით? - ვკითხე.

- დიას, მეც ამ სადარბაზოში ვცხოვრობ. უფრო სწორად, ვცხოვრობდი. სადღაა სადარბაზო.

- ეს ძალი?

- სულ თან დაჰყავდა. ბიბი ჰქვია.

- იქნებ დაგვეხმაროთ. ცხედართან არ გვიშვებს. სამარე უკვე გამზადდეთ.

მივიდა.
- ბიბი!

ბიბიმ ვეებერთელა ოქროსფერ-მოშავო კუდი ააბუთქუნა.

მეზობელმა თავზე ხელი გადაუსვა.

- რას ვიზამთ, ბიბი, ჩვენ ვერაფერს შევცვლით. ომია, - ლამის ჩასჩურჩულა.

მიცვალებული დაგკრძალეთ. ხის ჯვარი შევჭედეთ და თავით ჩავუმაგრეთ. მეზობელმა ჯვარს ქვემოთ „დმიტრო კოვალენკო“ დააწერა.

უკრაინის ომში თუ რომელიმე ქვედანაყოფს არა აქვს მოცლა, ეს მოიერიშე რაზმი და დამკრძალავი ბრიგადა გახლავთ.

ლამის მთელი კვირა ტყვიების და ფრთოსანი რაკეტების დარტყმის ქვეშ მყოფთ თავის მოსაფხანადაც არ გვეცალა.

როგორც იქნა, ისევ მოვხვდით ჟივკოს ქუჩაზე.

დმიტროს საფლავისკენ (უფრო ბიბის სანახავად) გამინია გულმა.

ძალი საფლავის გვერდით ისევ ისე იწვა, როგორც დმიტროს დასაფლავების დღეს, წინაფეხებში თავჩარგული.

- ბიბი! ბიბი! ბიბი!

ახლოს მივედით სამივე. ბიბი მკვდარი იყო.

ნოველა

ბიბი

(ეს არის პირველი ქართული მხატვრული ნაწარმოები რუსეთ-უკრაინის ომზე)

და მოხუცს. როგორ ეხმარებიან ერთმანეთს. როგორ შველიან დამაშვრალთ, რა სიამოვნებით უყოფენ ლუკმას.

არა, ძმაო, ამ ხალხის დამმარცხებელი არავინ არის დუნიაზე.

ჟივკოს ქუჩაზე საქმეს მოვრჩით და პროსპექტისკენ ხომ უნდა შევბრუნებულიყავით, ლამის მინასთან გასწორებული შვიდსართულიანი სახლის პირველ სადარბაზოსთან ცხედარი შევნიშნეთ.

მიცვალებული ასე სამოცდაათი-ოთხმოცი წლის მოხუცია.

პირალმა წევს. გაუპარსავ თმა-წვერზე და ჭორფლიან სახეზე სიმშვიდის ათინათი დასთამაშებს. ცალ ხელში მწვანე ვედრო უჭირავს, ფეხზე კარგად გაცვეთილი რეზინის ჩექმები აცვია. მარცხენა ყურს ქვემოთ ჩაცურებულა წარწერა „დაიკრძალოს“!

რას გერჩოდნენ, მოხუცო.

ვის რა დაუშავე შენი მწვანე ვედროთ, ბრეზენტის მოსასხამით და რეზინის ჩექმებით.

ეჰ, რუსეთო, რუსეთო. ჩემი თვალით რომ არ მენახა მკვდრებით მოფენილი ბუჩა, არ დავიჯერებდი.

სახელისთვის.

2022 წლიდან სულ მცირე 50 წელი მაინც შენს მიერ ჩადენილ ბოროტებაზე ილაპარაკებენ. შენს სიავებზე დაწერენ ლექსებს, მოთხრობებს, ნოველებს, პიესებს... გადაიღებენ ფილმებს უკრაინის ტრაგედიაზე.

ცხედრის გვერდით შავდრუნჩა, ოქროსფერი, კარგად მოვლილ-ნაპატივები ნაგაზი წევს. წინგაშვერილ ფეხებში თავი ჩაუდვია, თითქოს მინას ყნოსავსო.

ახლოს რომ მივედით და ფირფიტას დავწვდით, თავაუნწვლად შემოგვხედა, დრუნჩებიდან თეთრი კბილები დაგვანახა და შეგვიღრინა. უკან დავიხიეთ.

რა ვქნათო, შემომხედა ფართოყურება უკრაინელმა სტუდენტმა. ჯერ გავთხაროთ და მერე ვნახოთ-მეთქი.

დავინყეთ საფლავის გათხრა.

საერთოდ მიცვალებულებს დალუპვის ადგილთან ახლოს, გაზონებში ვასაფლავებთ.

რბილი მინაა. ბარ-ნიჩაბს ადვილად მოჰყვება.

სათვალისწინებელია მოხუცმა, რომელსაც, თუ უნებლიე ხუმრობას მაპატიებთ, ბრიტანეთის ჯონსო-

7.04.2022

სოსო სიგუა

გამოვიდა მურმან თავდიშვილის ესეისტური მედალიონების 760 გვერდიანი კრებული „ჩემიანები“.

წიგნი მდიდარ და უხვ მასალას შეიცავს. იგი გვაცნობს ახლობელთა, მეცნიერთა, მწერალთა, ცოცხალთა და გარდაცვლილთა პორტრეტებს.

საერთოდ მურმან თავდიშვილის ყოველი წიგნი უაღრესად საინტერესოა, როგორც ინტელექტუალური და შემოქმედებითი ძიების შედეგი.

ჩვენი საზოგადოება იცნობს მის რომანებს, სამეცნიერო გამოკვლევებს, კრიტიკულ და პუბლიცისტურ ნერილებს. ყოველთვის, როცა მათ ვეცნობით, გვაქვს სიახლის მოლოდინი - სულერთია, მისაღები იქნება თუ არა.

ამ წიგნისთვის ავტორს ავტოპორტრეტი წარუძღვარებია, რომელიც საკმაოდ თვითირონით არის დანერგილი. მაგრამ სწორედ ასეთი ხერხი იმსახურებს მკითხველის ნდობას, რადგან ჩანს, რომ იგი არავისზე აღმატებას არ ცდილობს.

ამ ავტოპორტრეტის გაგრძელება და გავრცობაა მემუარული ესეები - „სამი დიდი გაკვეთილი“, „ჩემიანები“. მათში მწერლური ოსტატობით არის წარმოდგენილი ოჯახური, მშობლიური წრე, მათი სახეები, მათთან დაკავშირებული ბიოგრაფიული დეტალები.

არათუ აქ, სხვა ესეებშიც მურმანს შემოაქვს ბიოგრაფიული მასალა, რაც სამეცნიერო მსჯელობას ემოციურობას ანიჭებს და თხრობაც სახალისო, საინტერესო და დასამახსოვრებელი ხდება.

ასე, მაგალითად, როცა მსჯელობს აკაკი განერელიას დიდ სამეცნიერო დამსახურებაზე, წერს მასთან შეხვედრებზე, კონკრეტული სპეციფიკური ლექსიკის მოხმობით.

ასე იხატება ჩვენს თვალწინ მეცნიერისა და პიროვნების პორტრეტი.

ახალგაზრდობის წლებში მურმანი მუშაობდა ქართული რომანტიზმის პრობლემებზე. კვლევა, ცხადია, უკავშირდებოდა რუსულ კულტურას, რამაც იგი მიიყვანა ჩვენი მეცნიერებისათვის უცნობ, ქართული წარმომავლობის დიმიტრი ცერტელევთან (წერეთელი). იგი ყოფილა თვალსაჩინო მოღვაწე, არტურ შოპენჰაუერის ფილოსოფიის მკვლევარი და მთარგმნელი, აღიარებული პოეტი. ამის დასტურად უთარგმნია რამდენიმე ლექსი და ჩაურთავს თავის ესეში.

ზოგი მეცნიერის პორტრეტი იმდენად საინტერესოა და ახატული, რომ

ლამის შეხედულება შეგვიცვალოს. მაგალითად, ეს ეხება შალვა რადიანს. იგი ჩვენი ლექტორი იყო, მაგრამ არც მეცნიერს, არც ლექტორს არ ვაქებდით, მურმან თავდიშვილმა კი კარგად წარმოაჩინა მისი როლი გარდასული საბჭოთა დროისათვის.

დღეს არავის ახსოვს შალვა ალხაზიშვილი. იგი დიდხანს იყო „მნათობის“ კრიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

ესეისტური მედალიონები

გვეგონა, რომ ფუტურიზმთან ერთად დამთავრდა მისი სალიტერატურო მოღვაწეობა, მაგრამ მურმანმა საინტერესოდ გაგვაცნო მისი ბიოგრაფია, ის ინტელექტუალური ატმოსფერო, რომელშიც ცხოვრობდა, ის საინტერესო ნერილები, რომლებიც ეხება ხელოვნების სხვადასხვა სფეროს, დაგვისაბუთა თუ რატომ იყო იგი უპირველესი სალიტერატურო ჟურნალის კრიტიკის განყოფილების ხელმძღვანელი.

აქაც დასამახსოვრებელია ბიოგრაფიული დეტალები, ის გულისტკივილი, რასაც განიცდიდა, როდესაც თითქმის დაბრმავებულ მოხუცს უყურებდა.

ჟაკი (იაკობ) ბალახაშვილი მე გავაცანი მურმანს. ისიც სხვაგვარად საინტერესო ინტელექტუალი იყო - ავანტიურისტი და წიგნის კაცი. აქაც რომანტიზმის პრობლემამ დააახლოვა ამ ნიჭიერ კაცთან. მისი რჩევით უთარგმნია დრანსეს „შამილის ტყვე ქალები“.

ახლა ჟაკიც მივიწყებული და მისი ავანტიურებიც. მაგრამ მურმანმა გვიჩვენა ეს ნიჭიერი და ერუდირებული მკვლევარი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, როგორ გახდა ბოლშევიკური ეპოქის მსხვერპლი და ვერ შეძლო თავისი უნარის სრული გამოვლენა.

მურმან თავდიშვილი ერთი მათგანია, რომელმაც სრულად სცადა გაეაზრებინა რევან მიშველაძის დიდი დამსახურება ქართულ მწერლობაში. ამ წიგნში ჩართულია ორი ნერილი. მათში კარგადაა შეზავებული შემოქმედების ასპექტები და ბიოგრაფიული დეტალები. მაგალითად, „ზაპოროჟეცის“ გახსენება, რომელიც მე „უბადრუკად“ არ მეჩვენებოდა.

წიგნის დაუვინყარი ნაწილია „ჩემიანები“, რომელიც მშობელთა და ახლობელთა გახსენებაა, რასაც ახლავს დიდი სიყვარული და დიდი სევდა. იქნებ ავტორმა განავრცოს იგი ახალი სახელებით შეავსოს. თუმცა ახლაც შესანიშნავია.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის კახა ბენდუქიძის სახელი. ზოგისთვის იგი რეფორმატორია, ზოგისთვის - მედროვე და გამყიდველი. მაგრამ ნაკლებად იხსენებენ მის ღირსეულ მშობლებს - ეთნოგრაფ ჯულიეტა რუხაძესა და მათემატიკოს ავთანდილ ბენდუქიძეს.

მურმანს მათზე ესე დაუნერია 1995 წელს, როდესაც საქართველოში

თითქმის არავის გაეგო კახას სახელი. არც მურმანი ახსენებს მას.


ავტორი ამ წიგნში მრავალ უცნობს სახელს გვაცნობს, რაც აფართოებს ჩვენს თვალსაწიერს კულტურის პროცესებზე, უჩინარ ადამიანთა ღირსებასა და ღვაწლზე.

აკაკი განერელიას ჰქონდა ფრაგმენტულ შთაბეჭდილებათა მთელი სერია. მურმანი თავისი ესეების ერთ ციკლს კი არქმევს „შთაბეჭდილებათა ფრაგმენტებს“. მაგრამ არსებითად ესენიც ესეებია, ოღონდ უფრო შეკუმშული ანდა - რამდენიმე დეტალითა და შტრიხით ნაჩვენებია პორტრეტი. მათ მიღმა კი ჩანს ავტორის დიდი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება.

მემუარების გაგრძელებაა ესეც ცნობილ მეცნიერ ალექსანდრე ლლონტზე, რომელიც მრავალ საინტერესო მასალას აერთიანებს. დაუვინყარია მინისტრ ნოე რამიშვილის გამოჩენა სოფლის სკოლაში, ასევე ფინალი - „თოვლივით ფითქინა ბაბუანვერა“ მოხუცი პროფესორი.

მურმანი მეგობრობდა როლანდ ბერიძესთან. ისინი წლების განმავლობაში ერთად დადიოდნენ რუსთავიდან თბილისში. იგი ქართული ვერსიფიკაციის ცნობილი მკვლევარი იყო, პოეზიის ღრმა მცოდნე, კეთილი ბუნების ადამიანი. ამ ესეში კარგად ჩანს მურმანის დიდი პოეტიკური განსწავლულობა. მაგრამ ასევე დაუვინყარია კურიოზული და ნოველისტური ფინალი, რაც გვაგონებს კინოფილმ „ჭრიჭინას“.

ავტორს წიგნში შეუტანია რამდენიმე ნერილი ციკლიდან „გარდასულ ძმათა სიმღერები“. ისინი ეძღვნება ლაშა გახარიას, შაბურა არაბულს, ზაზა თვარაძეს, ნუგზარ შატაიძეს, გრიგოლ რუხაიას. მათგან განსაკუთრებით საინტერესოა ესე ლაშა გახარიაზე. ლაშა კოლორიტული პიროვნება იყო, კარგი და ორიგინალური ლექსების ავტორი. იცხოვრა პოეტის ცხოვრებითა და ოცნებით.



ჰყავდა დამფასებელი საკმაო წრე. მაგრამ პროფესიონალური სიტყვა მის პოეზიაზე ნაკლებად თქმულა. კიდევ ამიტომ არის საგულისხმო მურმანის ნერილი, რომელშიც ახსნილია და გააზრებული ლაშას პოეზიის სპეციფიკა და ღირსება.

ასევე საინტერესო და საგულისხმოა ესეები, რომლებიც ეძღვნება გივი ალხაზიშვილს, ალექო მიქაბერიძეს, ზურაბ ლეონტივიძეს (ცუცქერიძეს), მაყვალა გონაშვილს, ბორის დარჩიას. თემურ ჩალაბაშვილს, დემურ ბაშა-ლეიშვილს... კლასიკიდან კი ალსანიშნავია ნერილები ლევ ტოლსტოისა და ილია ჭავჭავაძეზე.


წიგნში არ შესულა მურმან თავდიშვილის პოლემიკური ნერილები. ალბათ ისინი ცალკე უნდა გამოიცეს. მათ გარეშე ძნელია წარმოვიდგინოთ ჩვენი სალიტერატურო ცხოვრება.

„ჩემიანები“ ერთ ნაწილია მურმან თავდიშვილის დიდი, მრავალმხრივი და მრავალფეროვანი შემოქმედებისა. სათაურიც ამიტომ აქვს - „ჩემიანები“. იგი ავტორის რომანებთან და რუსთველოლოგიურ მონოგრაფიებთან ერთად ჩვენი კულტურის მართლაც კარგი შენაძენია.

მინდა ეს მოკლე მიმოხილვა დავამთავრო ერთი ნაწყვეტით მურმან თავდიშვილის ავტოპორტრეტიდან:

„ამ „ხვირიკა“ კაცს მაშინაც კი, როცა წყნარად ზის, შეუძლებელია ყური მაინც არ უთრთოდეს, არ უცახცახებდეს.

ათასში ერთხელ, როცა თვალს მოჰკრავთ რუსთაველის პროსპექტზე მიმსწრაფ მის მარად მოუსვენარ, ცქვიტ ფიგურას, უნებლიეთ მოგეჩვენებათ - იგი არღვევს დიალექტიკური მატერიალიზმის ერთ-ერთ ძირითად დებულებას, რომ უძრაობა არის მოძრაობის მომენტი.“



ბადრი ქუთათელაძე

ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონია...
ასი წლის მერე
დამანახა
მთაწმინდის
მთვარე!..
მტკვრის მოაჯირზე
ისევ ისე მდგომი
თოლია,
ასი წლის მერე!..
უფალო!
ერთი სურვილი
მაქვს,
არას ნუ მეტყვი,
ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონიე...
იყოს სხვა ხალხი,
სხვა მიზანი
და სხვა სულეთი...
ასი წლის მერე
რუსთაველზე
გამარონიე!..

თოვლი

რატომღაც თოვლი
არ მოდის,
არ მახვევია
ფიფქები!..
უშენოდ გუშინ
ვწვალობდი,
ფიქრით და
არყის ჭიქებით!..
რატომღაც თოვლი
არ მოდის,
ზამთრის წესი
და თვისება...
უშენოდ მართლაც
ვწვალობ და
უთოვლოდ
ხომ ვარ ისედაც!..

პანდემია - პალატა 7

დუმს, ყოველივე დუმს,
მუზაც აპირებს წასვლას!..
მე, თუკი ვცოცხლობ ახლა
წარსულის ლაღი ნუთით!..
შემორჩენია ფანჯრის
უჟანგავ რკინის რაფას
გამხმარი ხრიზანთემის
მიტოვებული ყუთი!..

ცაო მიყვარხარ,
მე შენგან
ველი წვიმას -
ფანტელებს...
მე ხვალინდელი
მიწავარ,
დამათოვ და
დამასველებ!..

კლასელებს ვხვდები
კანტი - კუნტად
შემორჩენილებს!..
ვიხსენებ მარლამს
და კონკის მთის
დამრეც ფერდობებს...
რომ ვუგზავნიდი
შეყვარებულ
გოგოს წერილებს,
ჩემს თანასოფელს,
ჩემს სიყვარულს,
იმ ჩემს ფერიდეს!..
კლასელებს ვხვდები -
ღმერთო ჩემო,
როგორ დაბერდნენ...
ეს მთებიც სხვაა...
და მდინარეც
ის არ მოდის!..
მე მაპატიეთ
თუ ვახსენე
თქვენნი სიბერე!..
დიახ, დავერდით,
ასე გამოდის!..

შენ დაიბადე ძალიან
გვიან...
მე, დავიბადე ძალიან
ადრე...
და დაბადება ორთავეს
ქვია,
სხვადასხვა დროს და
სხვადასხვა მხარეს!..
შენს დაბადებას - ვივა და ვივა!..
ჩემს დაბადებას არ ვასხამ
ხოტბას...
ალბათ გამიგებ,
თუ, როგორ მტკივა
ეს დაბადება და
ქვეყნად მოსვლა! -
სხვადასხვა დროს -
სხვადასხვა მხარეს!..

დღეს გაზაფხულს
გავურბივარ...
მოდის, ზამთარო!
მოდის ზამთარი,
გაზაფხულის
სურნელს დავეძებ...
ასე მანვალეებს,
ასე ბრუნავს
ჩემთვის სამყარო...
და მე არ ვიცი,
ვის მივენდო,
ან ვის გავეძებ!

დედა

დედა აღარ მყავს,
დედის დღე
შემორჩენია
კალენდარს...
და რა ცოდვავა,
ვერ მიხვდე
დედის ლოცვას და
წვალებას!
წუხელ დედასთან
ვიყავი...
ლამე ჩვენ ერთად
ვათიეთ...
მან მითხრა -
დამილოცნიხარ,
შვილო, ყველაფერს
გპატიებ!

გაზაფხული

წამოიშლება
მთებიდან თოვლი,
კვირტებს ტოტებზე
ალაგებს მარტი...
უკვე ფერმკრთალი,
დაღლილი წოლით,
წამოიშლება
მთებიდან თოვლი.

პაპა-ფაფაქვას!

ჩარგალი, „ვაჟაობა“.
2006 წელი.

აქ, ჩარგალში
შიში მიპყრობს
შენი მთების
სიდიადის...
დღეს ამინდი
ისევ ჭინჭყლობს
სასოვეთას
ნისლი ასდის.
შენ ამ მთების,
დიდო შვილო,
მოგვევლინე
კაცი ზენად
ჩარგალულელას
იცი ზნე და
მთა და ბარის
იცი ენა...
აქ, ჩარგალში
შიში მიპყრობს
შენი ნიჭის
გაბრწყინების...
შენ ხარ დიდი,
შენ ხარ დიდი,
ვით ჩიტებში
არნივები.

ღავით გურამიშვილს!

საქართველოს
სიყვარულში
უტკივილოდ
ვერ იცხოვრე...
ჰგავხარ სიზმრად
გადახვეწილ
საქართველოს
მეციხოვნეს.

გაგრა, ივლისი და მაგნოლია

ისევ მოვიდა
თოვლი თბილისში,
ისევ მოვესწარ
ფიფქთა ბორიას...
და მომენატრა
შენი სიშიშველე,
გაგრა, ივლისი
და მაგნოლია...
თოვლივით სუფთა
არის ოცნება,
ვერ შეველევი
ზამთარს თოვლიანს...
და მე ყოველთვის
თან მეყოლება
გაგრა, ივლისი
და მაგნოლია.

არ შემიძლია
ვიყო შენი
კურდღლის
მდევარი...
მე ჩემი მტრედის
სიმსუბუქე
ცაში მიმაფრენს...
ჯერ კიდევ მელის
დასაპყრობად
ჩემი მწვერვალი,
ჩემი კაცობის
ტკივილი და
ჩემი სიმართლე.

მეგობრების სსოვნას!

უბის წიგნაკს
სინანულის ცრემლი
ახლავს.
გამოაკლდა, ეჰ, რამდენი
გამოაკლდა...
თუ გადავწერ,
ან შევავსებ
ფურცლებს ახლით,
არ გადავშლი
მე თქვენს გვარებს,
არ გადავშლი.

შემოდგომა.....გაგრა

ბალის მერხი,
ვზივარ მარტო...
აქ სიყვითლე
შეპარვიათ
კოპიტებს.
ველოდები,
ეგებ, ვინმე
გამეცნოს და
ხვალაც ჩემთან
მოვიდეს!
ბალის მერხი,
აქ ფოთლები
ამთავრებენ
სიცოცხლეს...
და მერხებზე
შემოდგომის სუნია...
ახლა, ალბათ,
ამ ფოთლებთან
შედარება
ამ ბებრების,
მართლაც,
უხერხულია!

რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2)

31/1/90

ლამით ვფიქრობდი თვეების სახელწოდებებზე. ძველი სახელწოდებებიდან იანვარის, თებერვალის, მარტის და აპრილის სახელები არ მომწონს. ხომ არ შეიძლება ასე მოვნათლოთ:

- იანვარი — ახალწლისთვე;
- თებერვალი — რუსთველი;
- მარტი — განახლებისთვე;
- აპრილი — მზისათვე;
- ეს ოთხი სახელი ჩემი შერქმეულია (იცოდეს შთამომავლობამ);
- და მერე როგორც არის.
- მაისი — ვარდობისთვე, ივნისი — თიბათვე, ივლისი — ნიფობისთვე (და არა მკათათვე), აგვისტო — მარიამობისთვე, სექტემბერი — ენკენისთვე, ოქტომბერი — ღვინობისთვე, ნოემბერი — გიორგობისთვე, დეკემბერი — ქრისტეშობისთვე.

1/11/90

„ახკომში“ ჩემი ნოველაა „არჩევანი“. ვუკბინე ჩვენს ყალბ დემოკრატიას. მიკვირს, რომ დაბეჭდეს. ნელ-ნელა გამიარა სიბრაზემ, ზაფრმა, იქნებ ადამიანებისადმი რწმენაც დამიბრუნდეს და კალამს მოვიკიდო ხელი. „მამულში“ ამირან კალაძის და ნოდარ ნულეისკირის დიალოგია იმის შესახებ, თუ როგორ დაიბრუნეს „დაყრილი“ პარტიის მანდატები რ. ჯაფარიძემ, გ. ჯულუხიძემ, ნ. ჯალალონამ, თ. ჩალაურმა, კარლო ტაბატაძემ, როდამ ჩაჩანიძემ, თ. ჭოჭუაძემ. თუ მართალია, სირცხვილი სწორედ ეს არის. იმ დღეს წინა რიგში ვიჯექი და გადმოწოდებულ პარტიის მანდატებს მე ვაწვდიდი ნ. ნულეისკირს, მე მანდატი თან არ მქონდა. ამიტომაც განცხადება დავწერე, პარტიიდან გავდივარ-მეთქი და იქვე გადავეცი ნ. ნულეისკირს. მან კი ნ. კანდელიას გადასცა.

2/11/90

ბოლომდე გულანთებულმა ერთმა ნაძირალამ დამაბრალა; მიშველაძემ სხვისი მანდატი დადო. თავი კინალამ მოვიკალი. ჩემი წერილი „9 აპრილის შემდეგ პარტიიდან გავდივარ-მეთქი“, ახლაც მწერალთა კავშირში დევს.

„ცოდნას“ ჩავაბარე ბროშურა „ეპოქა და თანამედროვე მწერლის როლი“. თუ ისე გადმოსცეს, როგორც დავწერე, ურიგო არ იქნება. ვლასპარაკობ მწერლის ადგილზე ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

მინდოდა ჩამეტარებინა ჩემი კლუბის დისკუტი „უზენაესი საბჭოს არჩევნები“, მაგრამ უარი მითხრეს, არჩევნებზე ყოველგვარი ზემოქმედება კანონით აკრძალულია.

ჩავატარე კათედრის სხდომა: 1. „მიმდინარე მომენტის და კათედრის ამოცანები“, 2. „უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ“.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ავტონომიას, უსათუოდ უნდა მივალნიოთ და რაც შეიძლება, მალე.

3/11/90

შაბათია. ჩემი მეზობლის, დავით პავლიაშვილის, სიდედრი დავკრძალეთ მუხათგვერდში.

რა ბრწყინვალე სოფელი იქნებოდა მალა მთაში. ახლა სასაფლაოს დაუპყრია. საფლავებს დაუფარავს მთელი სოფელი.

თოვდა. ცრემლი მომგვარა თოვლით შესუდრული საფლავების ხილვამ.

4/11/90

აქ, სასაფლაოზე, ყველაფერი მთავრდება. კვირა. ჩვეულებრივი, ნაცრისფერი დღე.

5/11/90

დილით მარნეულელი ვალერი გაბე-ლია დელეგაციით მენვია.

იზა ორჯონიკიძემ აგვიკლო და მისგან დავციხსენითო. რას აშავებს-მეთქი.

ობობასავით მოედო მარნეულს, რაიკომის მდივანი მუჭში მოიმწყვდია. თათრებთან შეთანხმებას მიაღწია. თანამდებობებს ანანილებსო.

მომკალი და არ მჯერა-მეთქი. რა პოეტის საქმა ეს ყოველივე?

სალამოს სხვა დელეგაცია მესტუმრა. ილია მართლის საზოგადოების და სახალხო ფრონტის წარმომადგენლები. ჩვენ გადავწყვიტეთ, შევექმნათ საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის საზოგადოება „სვეტი ნათლისა“ და პრეზიდენტობაზე უარი არ გვითხრათო — განაცხადა რწმუნებულმა ანდრო გოგოლაძემ.

მოსაფიქრებელი ორი დღე მომეცით-

მაშუარაზი რობორ ირნეოდა სოგალდი

მეთქი.

მოსკოვში პლენუმი დაიწყო. ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. ამაღამ „ამერიკის ხმას“ მოვუსმენ. იქნებ გვითხრას, რაზე იყო საუბარი.

6/11/90

მოსკოვში პლენუმზე ლიგაჩოვმა „ნამუსი“ არ შეუნახა გორბაჩოვს და შევარდნაძეს. როცა 7 აპრილს თბილისში ჯარების შეყვანა გადაწყდა, მაგიდას გორბაჩოვი და შევარდნაძეც უსხდნენო.

7/11/90

უნივერსიტეტის ავტონომიაზე საუნივერსიტეტო კრება ჩატარდა. როგორც შევატყვე, არც რექტორს და, მითუმეტეს, არც პრორექტორებს, წარმოდგენა არა აქვთ ავტონომიაზე უმაღლესი სასწავლებლისა.

8/11/90

გავასწორე, დავხვეწე ნესდება ახალი საზოგადოებისა (რომესაც „თვისტომი“ დავარქვი) და დავნიშნე კიდევ საინიციატივო ჯგუფის კრება შაბათს 12 საათზე.

9/11/90

დღეს „ლიტ. საქართველოში“ შარშან მისალოც 60 ნელს ულოცავენ მუხრან მაჭავარიანს. მუხრანი მართლაც ეროვნული პოეტია.

10/11/90

მისადმი წყენამ კარგა ხანია გამიარა. დღეს, 12 საათზე უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ჩავატარე საქართველოს გარეთ მცხოვრებ ქართველთა ეროვნული კონსოლიდაციის ხელშემწყობი საქველმოქმედო საზოგადოება „თვისტომის“ დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის პირველი სხდომა.

უამრავი ხალხი დაესწრო. ნავიკითხე პროგრამა (ჩემი დანერვილი) და ნესდება (ანდრო გოგოლაძის დანერვილი და ჩემი გასწორებული). გაიმართა საქმიანი სჯა-ბაასი. თხუთმეტი ორატორი გამოვიდა. ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ მართლაც საჭირო საზოგადოება იქმნება! მე ბოლოს განვაცხადე; პრეზიდენტის სკამი ჯერჯერობით თავისუფალია, მე თვითმარქვია არ გახლავართ, ვისაც აირჩევთ, ის იქნება-მეთქი. პროგრამისა და ნესდების მიმართ არაერთი შენიშვნა გამოითქვა. შენიშვნათაგან ზოგი სწორი იყო, ზოგი გულუბრყვილო, ისე, შენიშვნისთვის სათქმელი, ასე იყო, თუ ისე, თათბირმა კარგად ჩაიარა. დავთქვით, რომ ყრილობას ერთ თვეში ჩავატარებთ.

სად მცალია საპრეზიდენტოდ, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ კარგ საქმეს გავაკეთებთ; ჩამოვასახლებთ საქართველოდან განთესილ შვილებს...

11/11/90

დილით ტელეფონით ველაპარაკე ზვიად გამსახურდიას. ვკითხე; ანდრო გოგოლაძეს თუ იცნობ და სანდო თუ არის-მეთქი. კიო, ვიცნობო, ჩვენი კაციაო. გამეხარდა.

10 საათზე მე და აჩიკო გუდაურში გავემგზავრეთ. ამ უბნზინობის დროს, რასაკვირველია,

ძნელია და ძვირი ერთგულებდე სათხილა-მურო სპორტს, მაგრამ სასიამოვნოდ დალილ-დასვენებული დავბრუნდი.

12/11/90

დღეს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გვეკონდა.

დღის წესრიგში კვლავ ოსეთის საკითხი იდგა.

სიტყვა ვთქვი: მე მომხრე ვარ როკის გვირაბის გაუქმების, ადამონ ნიხასის დაშლის და ნაფი ჯუსოითის გარიცხვის-მეთქი. განსხვავებული აზრი მხოლოდ გიორგი ციციშვილმა გამოთქვა.

იქნებ გარიცხვა მეტისმეტიაო.

დავადგინეთ ავტონომიის გაუქმება, „ადამონ ნიხასის“ დაშლა, როკის უღელ-

ტეხილის ლიკვიდირება და ჯუსოითის გარიცხვა.

13/11/90

სამშაბათი. დუშამბეში სომხებს დაერვივნენ.

პანისლამური სამყაროს ანტისომხური მოძრაობიდან ერთი ნაბიჯია ანტიქართულამდე.

ომი იწყება ისლამსა და ქრისტიანობას შორის.

მარნეულის დელეგაცია ისევ მესტუმრა. ხალხი ირჩევს ვალერი გაბელიას, რაიკომის მდივანს არ უნდა.

ნუთუ ესაა სამართალი. ზვიადს დაუზრუეკე, ვერ ჩავერევიო.

14/11/90

შეხვედრა მქონდა ვაჟა-ფშაველას გამზირზე საკვალეოვაცაო-ეკონომიკურ ინსტიტუტში.

ჩემი შეხედულება თანამედროვეობაზე, ეროვნულ მოძრაობაზე ყველამ გაიზიარა. პირდაპირ ვთქვი; მოდით, ვიკამათოთ-მეთქი.

კამათი არ შედგა. ყველანი მაგ აზრისა ვართო.

15/11/90

კათედრის სხდომა ჩავატარე. ახალმიღებული ასპირანტები ნიფურია, ცომაია, სხირტლაძე და ჩოხარაძე გავანანილე, სადისერტაციო თემები დავუშტკიცე.

16/11/90

„ლიტ. საქართველოში“ თამაზ ნივნივაძე ტყავს აძრობს დოიაშვილ-ბრეგაძეს.

ამჟღავნებს „კრიტიკიდან“ ჩემი მოხსნის ერთადერთ მიზეზსაც რაც ხ. ბერულავაზე თ. ნივნივაძის წერილის დაბეჭდვა იყო, რისთვისაც „დააპატიმრეს“ „კრიტიკის“ მეექვსე ნომერი.

ხომ ყველაფერი გაირკვა? არა და ხომ შეიძლება აქამდე ვერ მე-

ცოცხლა?

17/11/90

დეპუტატობის კანდიდატა და საარჩევნო კომისიის სხდომა ჩატარდა.

ჩვენ - ჩვენი პროგრამა წარვადგინეთ. თორმეტი კანდიდატი ვიყრიტ კენჭს. ვნახობ, რა იქნება.

18/11/90

კვირაა. დავწერე პატარა ნოველა „მე რომ მკითხო“.

თითქმის სამი თვის შესვენების შემდეგ პირველად მოვიკიდე კალამს ხელი.

ეს კარგი ნიშანია. იქნებ ვლიო წყეულ „აპათიას“, რამაც შემოიყრო „ლიტერატურული საქართველოს“ თავდასხმის შემდეგ.

19/11/90

მე და შოთა ნიშნიანიძემ ვისაუბრეთ მწერალთა კავშირის ფოიეში.

საქართველოს ბრძოლაზე ჩვენი თვალსაზრისები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს.

მერე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაზე ჩამოვარდა სიტყვა.

ორივეს მიგვანია, რომ ხელმძღვანელობის სტრუქტურა უნდა შეიცვალოს.

20/11/90

მწერალთა კავშირში პრეზიდიუმის სხდომა გვეკონდა ნესდების საკითხზე.

ნესდების „პროექტი“ („ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნებული) დავინუნეთ მე და თამაზ ჭილაძემ. მხარი დავიჭირა ე.წ. „ოპოზიციურმა ლიტერატურულმა ჯგუფმა“ დავით მჭედლოურის, მამუკა ნიკლაურის, გივი ალხაზიშვილის და ვახტანგ ხარჩილავას შემადგენლობით.

მე ვთქვი, ჩვენ თავისუფალი საქართველოსთვის ვემზადებით და ნესდებაც დამოუკიდებელი საქართველოს შესაფერისი უნდა გვეკონდეს-მეთქი.

რაც შეეხება ოს და აფხაზ მწერლებს, ისინი უნდა შემოვიდნენ, როგორც ასოციაციები და არა როგორც მწერალთა კავშირის სრულყოფილებიანი წევრები-მეთქი. ყრილობა 5-ის ნაცვლად 3 წელიწადში ერთხელ უნდა მოენწყოს-მეთქი. გამგეობა უნდა გაუქმდეს და პრეზიდიუმი უნდა გაფართოვდეს-მეთქი.

ელიზბარ ჯაველიძემ დააყენა საკითხი — ხუტა ბერულავა გაძევებულ იქნას სამდივნიოდანო. მხარი დაუჭირა ჯანსუღ ღვინჯილიამ.

21/11/90

მე და ბორისი რუსთაველის თეატრში დავესწარიტ სპექტაკლს - „გარეუბნის მარტოსახლი“.

უფრო ცუდი სპექტაკლი მე არ მინახავს. ეს იყო უნიჭობის მწვერვალი.

პერსონაჟებს შორის ურთიერთობა არ არის, სიტყვებს ისვრიან. იცინიან და ტირიან სრულიად უმიზეზოდ, უაზროდ.

სიუჟეტი — არა, ხასიათები — არა. ღმერთო, რა განუკითხაობაა.

დარბაზი თითქმის ცარიელი იყო. სპექტაკლი რომ დამთავრდა, სცენაზე ტაშის სათხოვნელად გამოსულ მსახიობებს შეეძახე: „თქვენი ბრალი არ არის-მეთქი“.

უკლებლივ ყველა გაიგონა და თავი დამიქნიეს.

22/11/90

კათედრის სხდომა მქონდა. „ახკომში“ ალექსანდრე ფოცხიშვილის განმაქიქებელი წერილია ხუტა ბერულავაზე.

23/11/90

ისევ ხუტაა მოთხრილი „ლიტერატურულ საქართველოში“ თ. ნივნივაძის მიერ.

რა ჩქარა გადაუხადა ღმერთმა სამაგიერო ჩემი გამწარებისთვის.

შუადღისას უნივერსიტეტში დიდი კრება გამიართა.

კრებას უძღვებოდნენ ირაკლი კაკაბაძე, გია მამალაძე და სხვები — არაფორმალური.

საკითხი იდგა უნივერსიტეტში პარტიული და კომკავშირის კომიტეტების გაუქმების შესახებ.

ტარიელ კვანჭილაშვილმა იკითხა, ვთქვათ პარტიული კომიტეტი გავაუქმეთ, მაშ, რომელი პარტიის კომიტეტი უნდა შევექმნათო.

არც ერთიო, უპასუხეს, უნივერსიტეტი იდეოლოგიზებული არ უნდა იყოსო.

ერთხმად დავადგინეთ: ა) უნივერსიტეტში გაუქმდეს პარტიული და კომკავშირის კომიტეტები; ბ) გაიხსნას მესამე სართულზე სამლოცველო.

ხვალ დიდმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს ეს დადგენილება.

სალამოს მე და თემურ ჩალაბაშვილი მხატვარ ვახტანგ გულისაშვილს ვესტუმრეთ.

ჩვენ სასტიკ დროში ვიცხოვრეთ და მით ურფო მამაყებს ამ ბოლო დროს მოყვასისადმი ყურადღება რომ გავაფაც-იცეთ.

ჩვენ შეგვიძლია ავლელდეთ ნიკო ფიროსმანის ბედზე, მაგრამ დღეს რომ ნიკო ფიროსმანივით ლატაკ და სანყალ კაცს შევხვდეთ, გულგრილად ჩავეუვლით.

უჭირს ვახტანგ გულისაშვილს. „წყალში დგას“ და ცეცხლი უკიდ-ია. ნახატები უფუჭდება. სახლი ანგრეულ-დანგრეული.

ხვალ უნდა ავტებო ზარების ცემა.

მემუარები

24/II 90

ისევ შედგა უნივერსიტეტში კრება პარტიკომის და ალკკ-ს გაუქმების საკითხზე. რექტორმა ნ. ამალოვმა დაარღვია გუშინდელი შეთანხმება და საბჭო არ მოიწვია.

კრებამ ხელმეორედ მიიღო რეზოლუცია, რაკი რექტორი საბჭოს არ იწვევს, ორშაბათს 12 საათიდან ვაცხადებთ პარტიკომის წინ უვადო შიმშილობას.

კრება რომ დამთავრდა, თავმჯდომარეს — დათო ტურაშვილს ველაპარაკე; პოლიტიკური ბრძოლის ფორმებს არა ხართ-მეთქი დაუფლებული, შვილო. რად უნდა-მეთქი ამას შიმშილობა. დღეს მეორედ ვიკრიბებით; მიგველო რეზოლუცია, დადგენილება გატანილ იქნას უნივერსიტეტიდან პარტიული და კომკავშირული კომიტეტები. ამ დადგენილების შემსრულებლად გამოგვეყო რამდენიმე კაცი. მიგვეტანა ეს დადგენილება და ვერ გაბედავდა ვერავინ, რომ არ შეესრულებინა-მეთქი. რატომ არ გვითხარით კრებაზეო. ხელს ვინევი, მაგრამ ყურადღება არ მომაქციე-მეთქი.

დღეს დავწერე პატარა ნოველა „იარა“. 25/II 90

კვლავ შევიკრიბეთ უნივერსიტეტიდან პარტიკომის და ალკკ კომიტეტის გასატანად. რექტორმა პირობა მოგვცა, ხვალ საბჭოს სხდომას მოვიწვევ და გადავწყვეტო.

ვნახოთ.

27/II 90

მედეა კახიძე, ანზორ აბულაშვილი, ზაზა ბანელაშვილი და მე კასპში ვიყავით შეხვედრაზე. სოფელ ქვემოჭალის კლუბში დიდი შეხვედრა მოგვინყვს. დარბაზი ხალხით გაჭედულია. დაგვყარეს შეკითხვები. მკითხეს ეროვნულ მოძრაობაზე, ჩემს პოლემიკებზე, ხუტა ბერულავაზეც კი.

კარგი შეხვედრა იყო.

28/II 90

დღეს საბოლოოდ გავთავისუფლდი პარტიის მძიმე უღლისგან, რომელიც ლამის 30 წელი ვატარე.

თსუ პარტიული კომიტეტის მდივანს — ჩარიტა ჯაშს, ჩავაბარე პარტიული და სათანადო განცხადება იმის შესახებ, რომ გავდვივარ პარტიიდან.

1/III 90

დღეს უნივერსიტეტის 93-ე აუდიტორიაში საჯარო ლექცია მქონდა „ქართული მწერლობა და თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“.

დარბაზი ხალხით გაჭედულია. სხდომა გახსნა დეკანოზ კორნელი დანელიამ და 50 წელი მომილოცა.

გულთბილი სიტყვა თქვა ჩემს შემოქმედებაზე პროფესორმა ჯემალ აფციანურმა. მე პირადად ორი საათი ვილაპარაკე.

ჯერ მოხსენება ნავიკითხე, რომელშიც დავამტკიცე, რომ ქართული მწერლობა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ახლაც მეთაურობს.

მერე შეკითხვებს ვუპასუხე. კარგი დღე იყო. შეხვედრის დასასრულიც მშვენიერი იყო. ჯემალ აფციანურმა შინ მიგვიპატიჟა და დიდი სუფრა გაგვიმართა.

2/III 90

სერგი ჭილაია დიდხანს მესაუბრა ჩემს ნაბიჯზე, არ უნდა გასულიყავი პარტიიდანო, ესენი კუდს კიდევ მოიქნევენო, რეპრესიები დაინყებო, იქარეო. ვიქარე კი არა, პირიქით, დავაგვიანე-მეთქი. სანამ დავრჩენილიყავი-მეთქი იმ პარტიაში, რომლისაც არც ერთი დღე არა მჯეროდა, იმ პარტიაში, რომელმაც ჩემს სამშობლოს მონობის მეტი არაფერი მოუტანა-მეთქი.

მეო, ძველი კაცი ვარო, მე ოცდაჩვიდმეტი გამოვიარე და მეშინიაო.

3/III 90

შაბათია. ყარამან ნემსაძის ორმოცდაათი წლისთავის ვახშამზე გახლდით.

ძლივს მივაგენით მე და აჩიკომ. დიდი სიყვარულით შემხვდნენ. ჩემს სადღეგრძელოში ერთმა ინჟინერმა (ომარი ერქვა, გვარი არ ვიცი) — ბატონი რევაზის წიგნი ქართულად ვერ ვიშოვე და მოსკოვში რუსულად ვიყ-

იდე-რომ ნავიკითხე, მთელი კვირა დავდიოდი და მარტო, ჩემთვის ვიცინოდო.

გვერდით უკრაინიდან ჩამოსული რუსი მეჯდა. დათვრა და მთელი საღამო მარიგა: ქართველები, ასეთი კარგი ხალხი ხართ და, თუ ღმერთი გნამთ, ნუ გახვალთ საბჭოთა კავშირიდანო.

4/III 90

რევაზ ლალიძეზე მოგონებას ვწერდი. რა კოლორიტული, რაოდენ ქართული ბუნების კაცი იყო.

5/III 90

მუხრანთან ვიყავი, ეროვნულ მოძრაობაზე ველაპარაკე.

ელაპარაკეები, გგონია, გისმენს, მერე თავს აწევს, ნახევრადმძინარე თვლებით შემოგხედავს და გეკითხება:

— ა, რა თქვი?

სალამოს მიტინგზე ვილაცამ მოითხოვა ნაირა გელაშვილისა და რევაზ ჯაფარიძის წიგნების დანვა. ისინიო თურქი მესხების ჩამოსახლება მოითხოვენო.

ვაი, სირცხვილო?! წიგნების კოცონზე დანვა?

6/III 90

ელიზბარ ჯაველიძემ დამირეკა, „კრიტიკაში“ უსათუოდ უნდა დაბრუნდეთ. შენს სიმართლემ და ვერწმუნდი და ბოლომდე გვერდით მიგულეთ. შენს წინაშე „ლიტ. საქართველო“ დამნაშავეაო.

7/III 90

დილით თ. წიგნივამ გამომიარა, მწერალთა კავშირი უნდა ვაიძულოთ, „კრიტიკის“ რედაქტორად დაგაბრუნოსო.

2 საათზე პრეზიდიუმი გვექონდა.

ელიზბარ ჯაველიძემ დასვა საკითხი: მიშველაძე რატომ გაათავისუფლეთ, ეს კანონის დარღვევააო.

გამოყვეს კომისია.

მერე ხუტა გაატარეს წნეხში ჩემი მოხსნისთვის.

რა ხდება: აკი აქამდე სდუმდნენ?

8/III 90

ქალთა დღე. ჩამოვურეკე ნაცნობ-მეგობარ ქალბატონებს. ჩემი კათედრის წევრ ქალებს მივულოცე.

გახსურდა პოლიტიკური ბრძოლა.

გორბაჩოვი ერთმმართველი პრეზიდენტის თანამდებობისკენ მიილტვის. ეს მონარქობას, მეფობას ნიშნავს.

მაშინ ნახე იმპერიის გამაგრება.

დღეს მიტინგზე ქართველმა დეპუტატებმა დაადგინეს, უარი თქვან დეპუტატთა ყრილობაზე გამგზავრებაზე და გორბაჩოვისთვის ხმის მიცემაზე.

ეს დიდი პროტესტია.

მიტინგზე ისიც ითქვა, რომ თუ გორბაჩოვმა თავისი გაიტანა, საქართველო სსრკ-დან ავტომატურად გასულად ითვლება.

სალამოს ტელეფონით ვესაუბრე პროფესორ ოთარ აბუთიძეს. უაღრესად ინფორმირებული მეცნიერ-პოლიტიკოსია. ნამდვილი ენციკლოპედიაა.

9/III 90

დღეს საქართველოს უზენაესი საბჭოს სესია ჩატარდა.

მიტინგებმა აიძულეს გუმბარიძე, სესიაზე მიელო მისთვის ფრიად არასასურველი დოკუმენტი:

საქართველო უარს ამბობს, დამტკიცდეს პრეზიდენტის პოსტი. უარს ამბობს, ხმა მისცეს გორბაჩოვს, როგორც პრეზიდენტს. გამოვიდნენ გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ლორთქიფანიძე, დ. ხახუტაშვილი, ა. ბურჯანაძე.

კარგია. საქართველოს უზენაესი საბჭო პირველად ხალხის მხარეზე დგება.

10/III 90

მთელი დღე „ვეფხისტყაოსანს“ ვკითხულობდი.

ბევრი ვიყეფე „კრიტიკაში“. აკადემიის კომისიამ დაამახინჯა ჩვენი უპირველესი წიგნი-მეთქი, მაგრამ ყური არავინ მათხოვა.

საერთოდ, არსებობს, ნეტავ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია?

თუ არსებობს, ნუთუ მშვიდად უცქერის, მისი კომისია როგორ რყვნის „ვეფხისტყაოსანს“? ათას ლაფსუსთა შორის ერთის დასახელებაც კმარა, იგი ნავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნარო-

სა“, ასე შეცვალეს: „იგი წარჰხდების, სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა“.

„ვეფხისტყაოსანი“ კი არა, ქვეყანა დარჩა უპატრონოდ!

11/III 90

ფანჯიკიძემ დამირეკა და მითხრა, თხუთმეტი კაცი აგირჩიეთ მწერალთა კავშირიდან, 13-ში, 12 საათზე ფილარმონიის დიდ დარბაზში პოლიტიკური პარტიების ყრილობას უნდა დაესწროთ, სადაც დროებით, კოალიციურ მთავრობას აირჩევენო.

როგორც იქნა, გველირსება ნამდვილი მთავრობა.

12/III 90

მოსკოვში სესიაზე გამოაცხადეს, პრეზიდენტის არჩევნებს კარგი პირი უჩანსო.

სასაცილოა, რა არჩევნები, რის არჩევნები, როცა 1800 დეპუტატიდან 1600 იმპერიის მოხრე რუსია. საქართველომ და ლიტვამ რაც უნდა იყვირონ და „იპროტესტონ“, მათი სურვილი წინასწარ განწირულია.

სალამოს ტელეფონით გამოვიდნენ ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი და ხონელიძე. ილაპარაკეს საქართველოს ეროვნულ მოძრაობაზე და ხვალინდელ ყრილობაზე.

ვნახოთ, რა იქნება, მე სიამოვნებით ნავალ ხვალ. უკვე ლიტვამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. „ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი, გამაგონე ჩემს მამულში“.

13/III 90

დღეს ფილარმონიის დიდ დარბაზში პოლიტიკური პარტიების ყრილობა გაიხსნა. სიტყვებით გამოვიდნენ ნ. ნათაძე, ზ. გამსახურდია, ი. ბათიაშვილი, ი. წერეთელი, თ. ქორიძე და სხვანი.

თ. ქორიძემ სასტიკად გააკრიტიკა სახალხო ფრონტი.

არ მომწონს, რომ „არაფორმალები“ ერთმანეთს დაერივნენ.

დღეს რესპუბლიკის პროკურორმა გადმოცა „პროტესტი“, რომლითაც მუხრან მაჭავარიანის ბრძანება ჩემი მოხსნის შესახებ, როგორც უკანონო, გაუქმებულია.

მე მაინც არ დავბრუნდები „კრიტიკაში“. მაგრამ ეს ფაქტი ურიგო როდია.

მტკიცდება ჩემი სიმართლე.

14/III 90

დავწერე „ერთი სევდიანი ისტორია“ — პატარა წერილი, რომელიც „ახალგაზრდა კომუნისტში“ მივიტანე.

არ მინდოდა ძველი იარის გახსენება, მაგრამ რედაქციამ მთხოვა.

„კრიტიკიდან“ შენი გათავისუფლების ისტორია მკითხველმა უნდა იცოდესო.

ყველამ უნდა დაინახოსო სიმართლე.

ვნახოთ, დაბეჭდავენ თუ არა.

რა ხდება? რატომ შემობრუნდა პრესა ჩემსკენ?

15/III 90

დღეს მკითხველებთან შეხვედრა მქონდა ცეკავშირის ტექნიკუმის შენობაში.

წარვუდექი მრევლს ჩემი შეხედულებებით. რამდენიმე ნოველაც ნავიკითხე.

მკითხეს ბევრი რამ, მათ შორის ცისკარიშვილის და ვასაძის ბინძური წერილების ისტორიაც.

16/III 90

უსიამოვნო საუბარი მქონდა მუხრან მაჭავარიანთან.

კონფერენციაზე ან შენ უნდა გამოისულიყავი, ან ჩვენი მოგეცა საშუალება გამოვსულიყავით-მეთქი. შენი სიჩუმით იქნება ილუზია, თითქოს ქართველი მწერლები გულგრილნი არიან იმის მიმართ, რაც მიტინგებზე ხდება-მეთქი.

შენ რომ იქნები თავმჯდომარე, შენ მართე მწერალთა კავშირი, როგორც გაგეხარდება, ახლა მე ვარ უფროსო, შემომიბღვირა.

ვინ ეცილება?

დღეს სალამოს რუსთაველის თეატრში ვნახე გურამ ბათიაშვილის „შეთქმულე-ბა“. ძველი პიესა „1832“, რომელიც რუსთაველის თეატრში 10 წელიწადს იდო, კაცმა რომ თქვას, რა სჭირდა ამ მშვენიერ პიესას არდასადგმელი. მომეწონა სპექტაკლი. ძლივს რუსთაველის თეატრში ქართული პიესა ვნახე ქართულ ტკივილზე. შესვენებისას მსახიობი ელენე საყვარელიძე გადაამხვია: ერთი კვირის

წინათ ჩვენ: მე, მედეა ჩახავა, გიგოლა თალაკვაძე და სხვები შევედით რ. სტურუასთან და რეპერტუარის განახლება მოვითხოვეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში განვუცხადეთ, რომ აქციას მოვანყობოთ, მიშველაძე შენთან ყველაფერში მართალი იყოო, უთხრაო მედეა ჩახავამ. ერთი კვირის შემდეგ ხუთივენი კულტურის სამინისტროში დაგვიბარეს და წინადადება მოგვცეს, პენსიაზე გავიდეთო.

ასეთი სამართალი აქვს, თურმე, კულტურის მინისტრს.

17/III 90

„ახკომში“ დაბეჭდილია პარტიათა ყრილობის დადგენილება და რეზოლუციები. ეროვნულმა მოძრაობამ არნახული ნახტომი გააკეთა.

„ბოიკოტი არჩევნებს, ბოიკოტი „საბჭოთა საქართველოს“, ბოიკოტი უმაღლესი საბჭოს სესიას, ბოიკოტი მთავრობას, ბოიკოტი საბჭოთა არმიას, ბოიკოტი კომუნისტებს!“

დიდებულაია. ამ რეზოლუციებით ყველაფერია ნათქვამი, ახლა მთავარია პრაქტიკაში გატარება („პრაქტიკაში“ რუსულია).

18/III 90

კვირაა.

მირანგულ ავსაჯანიშვილმა დამირეკა. ყური მოვკარი, რომ არჩევნებში შენი კანდიდატურის მოხსნას აპირებ, მართალია თუ არაო.

არც დასახელებაზე მიზრუნვია და არც კანდიდატურის მოხსნაზე ვიზრუნებ-მეთქი.

ახლა უნდა ვეცადო, არჩევნების დღეებში თბილისში არ გავჩერდე. ვინმეს არ ეგონოს, ქართველ ხალხს ხმას ვთხოვე. თუ ჩემს ერს ვუღირვარ რამედ, ამირჩევენ, თუ არა და გული მიანც არ გამიტყდება. ჩემს საქმეს ძველებურად გავაკეთებ.

19/III 90

მიტევებისა და შეწყალების დღე გამოაცხადა ეს დღე ეროვნულმა მოძრაობამ.

დავიტარე უნივერსიტეტიდან, სიონში უნეტარესმა ილია II-მ ლოცვა აღავლინა.

20/III 90

მწერალთა კავშირში პროზის სექციის სხდომაზე მე და ნოდარ ნუღესიკირმა დავსვით საკითხი მწერალთა კავშირის არსებული სტრუქტურის გაუქმების შესახებ.

არ შეიძლება მწერალთა კავშირი რაიკომს ჰგავდეს.

შევარდნაძე ნამიბიაში ჩაფრინდა.

ლიტვას ბლოკირებას უკეთებს მოსკოვი.

21/III 90

საავადმყოფოში მივაკითხე ჩემს კახელ მეგობარს, კარგ ყმანვილს, ჯემალ სანდომოვილს ხელი გასივებია. „ტრომბს“ ვარაუდობენ.

„გეპარინი“ მჭირდებაო. მთელი თბილისი შემოვიარე და როგორც იქნა, ვუშოვე. თან ცოტათოდენი ფულიც (50 მან.) შევუდე ბალიშქვეშ.

ამალამ მშვიდად დამეძინება.

ლიტვას ცუდ დღეში აგდებენ. იმპერია კბილებს აღრჭიალებს. უკანონოა ლიტვის გასვლა, ჯერ ვალი (?) უნდა გადაგვიხადოსო.

22/III 90

ლიტვას მილიცია განუიარაღეს. ჯარისკაცებს, ვინც ლიტვის განთავისუფლების გამო შინ წავიდა, აპატიმრებენ.

მოსკოვი შურისძიებაზე გადავიდა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტვას სასტიკად დასჯიან გასვლის გამო.

იმპერია არ დათმობს ძალაუფლებას.

23/III 90

დღეს მიტინგზე ირაკლი წერეთელმა გამოაცხადა: საქართველომ მხარი უნდა დაუჭიროს ლიტვას, ლიტვის დამარცხება ჩვენი დამარცხებააო.

ისტორიკოსმა აკაკი მათიაშვილმა რუსთაველზე შემომჩივლა; რა საშინელებაა, რომ მუხრან მაჭავარიანი არავითარ ეროვნულ აქციაში არ მონაწილეობსო.

სანყალ ვანო ქობალიას ოცდაცამეტი წლის ბიჭი მოუკვდა მენინგიტით.

პანაშვიდზე ვიყავი.

ხვალ ბათუმში და იქიდან თურქეთში მივდივარ ერთი კვირით.

ჯემალ აჯიაშვილის სახელობის კონკურსი



ქ. თბილისის მერიისა და ისრაელის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირის“ მხარდაჭერით გაიცა ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიები შემდეგ ნომინაციებში:

- წლის რჩეული იუბილარები - ჯემალ ინჯია და ბონდო არველაძე
 - საუკეთესო პიესის ავტორი - მზია ხეთაგური
 - საუკეთესო პროზაული ნაწარმოებების ავტორები: - ნუგზარ ჯანაშვილი და ვასილ ბესელია
 - საუკეთესო პოეტური ნაწარმოებების ავტორები: - ბადრი ცირამუა და თენგიზ ხუციშვილი
 - საუკეთესო პროზაული თარგმანი აფხაზური ლიტერატურიდან - ნაირა მარშანია
 - საუკეთესო პოეტური თარგმანი უკრაინული ლიტერატურიდან - რაულ ჩილაჩავა
- „გულთა კავშირის“ პრეზიდენტმა რობერტ ადარმა ჯემალ აჯიაშვილის სახ. პრემია ნომინაციაში „ყველაზე წარმატებული ებრაისტი“ ჯემალ აჯიაშვილის თანამედროვეთაგან გადასცა განათლების მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ მახარაშვილს, თავად ბატონ რობერტს კი მწერალთა კავშირისგან „მაღლიერების დიპლომი“ გადაეცა.

თანადგომით გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები მიანიჭათ:

პოეტ ტარიელ ხარხელაურს და წლის რჩეული იუბილარს თეიმურაზ ლანჩავას.

საგარეჯოდან ჩამობრძანებულ სტუმარს არჩილ ჯაბადარს მწერალთა კავშირის „მაღლიერების დიპლომი“ გადაეცა.

წელს, ანა კალანდაძის სახელობის პრემია ნინო სიხარულიძეს მიენიჭა.

ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატები კი - ციცი გურიელი და მირონ ხერგიანი გახდნენ.

მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებული ფოტო-ისტორიების კონკურსის „ღირსსახსოვარის“ გრან-პრის მფლობელები არიან:

- რევაზ მიშველაძე, დემიკო ლოლაძე, ზაალ ბოტკოველი, თენგიზ გიორგაძე.
- „თამარიონის ენდელმა“ გადაეცა მწერალ მაია ბათიაშვილს.

ბატონ რობერტ ადარმა სასიხარულო ინფორმაცია მიანოდა მოწვეულ სტუმრებს. მან ბრძანა, რომ ჯემალ აჯიაშვილის სახ. პრემიის საზეიმოდ აღნიშვნა მომავალში ყოველ კენტ წელიწადს გამართება საქართველოში, ხოლო ყოველ ლუნ წელიწადს დაჯილდოების ცერემონიალი გამართება ისრაელში.

ასევე მან გააჟღერა კონკურსში გამარჯვებული მწერლის ნუგზარ ჯანაშვილის სურვილი, რომ მისი კუთვნილი პრემიის თანხა გადაეცეს ყველაზე მრავალშვილიან მწერალს.

ისიც აღსანიშნავია, რომ პოეზიის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე გამართა პრეზენტაცია ნიგნისა „ერთი მზის ქვეშ“. ნიგნი გამოიცა ქ. თბილისის მერიის თანადგომით გამომცემლობა „მერანის“ მიერ.

გამომცემლობა „მერანმა“ ნიგნის ალბომი დასტამბა „თბილისი - მსოფლიო ნიგნის დედაქალაქის“ ფარგლებში და იგი იმ ქართველ და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელ მწერლებსა



მწერალთა კავშირის ორგანიზაციამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის და მხატვრებს ეხება, ვინც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა თბილისური მულტიკულტურის განვითარებაში.



გიორგი რომანაძე

ფულე


გუშინდელ სიზმარს ისევ ვერ ვივინყებ ველური ორქიდეის შრიალი მატკობს, მახსოვს მღეროდნენ მაგნოლიები თან პიაფის ფულეზე ცეკვავენ ტანგოს. ამ დროს როიალთან დაჯდა მაესტრო, დაუკრა მელიოდა რაღაც ბოჰემური... კვლავ შავი ღვინით შეივსო ჭიქა, სადღეგრძელო თქვა მან უკვდავების. თან მის მგრძნებარე ხმას მოუმატა, მან უამრავჯერ გაიმეორა, უკვდავება თვითონ კლასიკა, კლასიკა, არა არასდროს კვდება. მეორე ჭიქა შეავსო უკვე, ვაზის ცრემლები შიგ ჩაიღვენთა, ფეხზე წამოდგა, აიღო ჭიქა, ის ხომ ბოჰემის სადღეგრძელოს სვამს სიმღერ-სიმღერით, რაღაც პარიზულად, იმღერა მშვიდად ლა ბოჰემე, ლა ბოჰემე, გუშინდელ სიზმარს, ისევ ვერ ვივინყებ, ველური ორქიდეის შრიალი მატკობს, მახსოვს, მღეროდნენ მაგნოლიები თან პიაფის ფულეზე ცეკვავენ ტანგოს.

მელოდიაში მიფარე კურთხევა

თეთრ თოვლზე წითლად ეხატა ტუჩი ზედ დავანერე როლინგ სთოუნზი, ჰენდრიქსის გიტარას დავუნთე სანთლები, ჯოპლინმა მაჩუქა ოქროს შანდლები. ზეპელინების მელოდიებზე გავშალე საბნები, ზედ წამოვნიქე, თვალები დავხუჭე, თავით გადავემვი, როკის მეფეების უკვდავ ჰანგებში. თითქოს გათიშულს და დატყვევებულს სადღაც მიმართევდნენ ყაჩაღი ბგერები, ვხედავდი, როგორ ძლიერად ახრჩობდა საშინელ ქაოსს ეს ტკბილი ხმები. ამ ქაოსს დორსის ეტლით ვარღვევდი, გალობით მაცილებდა მე რეი ჩარლზი, მის სათვალეში ბუნდოვნად ჩანდა შავი როიალის თეთრი კლავიშები. ქოთანში ვეძებდი მენამულ ყვავილს და მივყვებოდი გზებს როიალის, კლემენტინის სიმებს გულში ვიხვევდი, მე სტუმრად დავრჩი ბლუზის ქალაქში. თეთრ თოვლზე წითლად ეხატა ტუჩი, ზედ დავანერე როლინგ სთოუნზი, ჰენდრიქსის გიტარას დავუნთე სანთლები, ჯოპლინმა მაჩუქა ოქროს შანდლები.

სიკეთის ფუნჯი

მე მეზიზღება ცხოვრება ძალზე შურით ბოღმით და ცოდვებით სავსე, მე მეზიზღება ცხოვრება ძალზე არამზადებით, კახებით სავსე, მინდა დავხატო სამყარო მთლად სიყვარულის ფერებში მინდა ვმღეროდე სიმღერას მუდამ მაჟორულ ბგერებში აღარ მოგებურდათ, რად გინდათ, ბოღმა გათელეთ ფეხებში, ადამიანო, დახატე ცხოვრება ლამაზ ფერებში.



ეთერ ზაქარიაძე

სამშობლო ჩემო!

ნეტავ, როგორ უძლებ ამდენ ტკივილს, ლალატს, სიყვარულს, ერის და ბერის ტირილს? ვერა, ვერ შეცვალე ბედის წიგნი, რასაც ზეცაში ბედის მწერლები წერენ და გვიძღვის... სამშობლო ჩემო! ქართველი ერის დედაბოძი ხარ! გუთნის დედა ხარ, ციხესიმაგრე, სამკვიდრო ჩემი, შავი ზღვის დიდი აუზი, შავი ზღვისპირა ქვეყნების აკვატორია შენა ხარ! რამდენი მტერი და მოლაღატე გყავს, ჩემს სულში ნარკოტიკით გამჯდარი, სიცოცხლეს მჩუქნი, მის სურვილსაც მიკლავ, ასეთი გენიც შენა გაქვს... ეს სამშობლოა, სადაც დედამინა და ზეცა ერთდება, ქართულ სუფრასთან, მტერი თუ მოყვარე ერთად რომ ჯდება, სადაც სამშობლო სიყვარულის და სიძულვილის დიდი სახლია, სადაც ძმათა ომია და მტერი თურმე მეგობარია... სადაც დიპლომატია კახპურ პოლიტიკად ქცეულა, სადაც ქართული მინის გაჩუქება ჩვევად ჰქონიათ... ღვინის სანაცვლოდ სანამღავის სმა გაგიგონიათ? წყენა-სიყვარული, ლალატი-ერთგულება ქართველთა გულში, ერთნაირად რად ჩავგრჩენია? ქართულ მინაზე ბნელი ღამეც ხომ ნათელია, სნეულიც კი ადგება, წელში გასწორდება, თუ მისი სამშობლო, მისი ქვეყანა გასაჭირშია... ქართველის დედას ხმალი ჯერ ქარქაშში არ ჩაუგია, ბრძოლაში მოკვდი, არ დაიხოქო, ეს ანდერძი დაუნერია, ისტორიას განა ახსოვს? მტერს რომ ომი მოუგია... ალბათ, ღმერთი მართლაც ნაწყენია, ქართველ ერის დაკნინება, რაც დღეს ხდება, დღემდე არსად გამიგია... ეს სიტყვები, ქართველებო, მწუხრის გულის მკურნალია, მიყვარს სამშობლო, მასულდგმულებს, მის გარეშე არ შემიძლია, რაც რჯულზეა უმტკიცესი, ხომ დღესავით ნათელია, ქართველ ვაჟკაცს შუბლზე გამარჯვება აწერია... გაიღვიძეთ, ვაჟკაცებო! ცხვრის ფარას სავალი გზა გახვევია...

ზაალ ნემსაძე

„გრძნობა გონებას მიეც მსახურად და არ მისცე მას დრო, რათა იგი გაართოს“, - ამბობდა ღირსი აბბა თალასი, V საუკუნის სირიელი მეუდაბნოე. გონებისთვის მსახურად მიცემული გრძნობის ბეჭედი აზის ქართული ლიტერატურის კლასიკოსის რევაზ მიშველაძის ამ საუკუნეში გამოცემულ ოთხივე რომანს: „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“, „ციყვი ბორბალში“, „ნამება“ და „ქრისტე“.

„ვინც ჩვენთან ერთად წამოსვლას აპირებს, უმორჩილესად ვთხოვ, ამ წიგნს... ალაგ-ალაგ ნუ წაიკითხავს.

იქნებ დაატანოს თავს ძალა და თავიდან ბოლომდე წაიკითხოს“ - მიმართავდა მწერალი მკითხველს ერთ-ერთ რომანში „ციყვი ბორბალში“. ანუ გასართობად და ვინმეს დასანახად კი არ ვაკლავ თავს სწერ მაგიდაზე გაშლილ ცარიელ ფურცლებს, არამედ იმისათვის, რომ გასწავლოთ რამე სასიკეთო და ქრისტიანული, - გვუპუნება.

კითხულობენ კიდეც გონებისთვის მსახურად მიცემული გრძნობით. ეტყობათ, არ გჯერათ? ა, ბატონო, რომანში „ნამება“ ასეთი ეპიზოდია:

„ტოტლებენმა ივერის შიგნით მათრახის ტარით კეფა მოიფხანა და სოლომონ პირველს ხელი ისე გაუნოდა, როგორც სოფლიდან ჩამოსულ ღარიბ ნათესავს ჩამოართმევდა გაქსუებული რუსი-გერმანელი ჩინოვნიკი“ (რ.მიშველაძე „ნამება“ გვ.42)

დააკვირდით ჩვენი ოფიციალური თუ არაოფიციალური დელეგაციის წევრებს, როგორ „ესალმებოდნენ“ მათი უცხოელი კოლეგები - ტოტლებენივით. თუმცა იგივე „ტოტლებენები“ ქედს უხრიან ჩვენი საპატრიარქოს წარმომადგენლებს. რატომ? ღირსებას სცემენ პატივს, სინმინდეს და, რაც მთავარია, ღვთის მოშიშობას. ეს თვისებები ხომ არ აკლიათ ხშირად ჩვენს ხელისუფლებს? აი, ამაზე მიგვანიშნა დიდოსტატმა მწერალმა.

ა, კიდეც ერთი მაგალითი იგივე რომანიდან:

„სასახლის მდივანმა გრაგნილი გაშალა და რუსთხელმწიფისადმი ერთგულების ფიცის წიგნი ჩაიკითხა.

სიჩუმე ჩამოწვა. დარბაზში მყოფთაგან ორი კაცის გარდა ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ სამეგრელოს მეფე ფიცის წიგნს აკოცებდა, საჯაროდ შეჰფიცებდა რუსთ ხელმწიფეს ერთგულება-მორჩილებას და ხელს მოაწერდა.

მსგავსი არ მომხდარა. მეფე წამოდგა და ბრძანა:

„ჩემი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები გადაეცით რუსთ ხელმწიფეს მიხეილ თევდორეს ძეს... რაც შეეხება ფიცის წიგნს, რაკი ხელმ-

წიფეს სამი წელი დასჭირდა ჩემი ელჩის მისაღებად, ჩვენც თავს უფლებას მივცემთ, განვაცხადოთ, რომ ფიცის წიგნზე ხელმონერისათვის ჯერ მზად არ ვართ. მფარველობის ქვეშ შესვლის პირობები ჯერ კიდევ შესასწავლია. ამიტომ ფიცის მიღების ცერემონია უნდა გადავდოთ“ („ნამება“, გვ.32).

რწმენის და სიკეთის მქადაგებელი

აი, ეგრე! ჯერ შეიგრძენი პატივისცემა საკუთარი თავისადმი და მერე სხვისადმი. „ნამება“ არ გახლავთ რიგითი რომანი. მასში ქრისტესმიერი გზის გავლის რეპეტიციაა მოცემული, რომლის გარეშეც თავისუფლება შეუძლებელია, რადგან ქრისტეშია მისი არსი. და არ დააყოვნა დიდმა მწერალმა. მკითხველებს უდიდესი ქმნილება „ქრისტე“ მოგვართვა, სადაც მან, რევაზ მიშველაძემ, სამშობლოს მინების წართმევით გამწარებულმა ქრისტიანმა, უფლის მცნებებში მეორე მცნებად, გონებისთვის მსახურად მიცემული გრძნობით ჩააბეტონა უფლის სახელით: „გიყვარდეს სამშობლო და იბრძოლე მისი თავისუფლებისათვის“.

აი, ის მთავარი სათქმელი, რატომაც დაინერა ეს ოთხი რომანი. სამშობლო, მისი თავისუფლება და ამის გვირგვინი იესო ქრისტე, თავისუფალი საქართველო და სამება! თუ ამას დავუმატებთ მწერლის მონოდებას, რომლის გარეშეც არ ამთავრებს თავის არცერთ გამოსვლას „გაფხიზლით!“ ნათელი გახდება მისი საჯილდაო ქვის წონა და სიმალღე.

რევაზ მიშველაძე არამარტო წერს, არამედ აშენებს. „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ საფუძველი იყო, ბალავრის ჩაყრა მისი უფლის კოშკის, რომელმაც საქართველო უნდა დაიცვას, ააშენოს, ზურგი გაუმაგროს, გააბრწყინოს.

„ციყვი ბორბალში“ თითქოს დიდი დოკუმენტური ფილმია. სიზიფეს უაზრო შრომისა და ბრძოლაში უთაურობისა, რაც უახლეს ისტორიაში გამოვიარეთ. ვინც გრძნობას არ აძლევს გონებას მსახურად და უფლის მაგივრად ეშმაკს აბატონებს, ერთ წრეზე დადის და უაზრობაში ამოხდება სული.

„ნამება“ გამორჩეული რომანია და მასზე ცოტა მეტ ყურადღებას ვაძლავებ. მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვაცხადებ: ეს რომანი ყველა დონის სასწავლებლის პროგრამაში უნდა იყოს - საჯარო სკოლიდან მოყოლებული. „დავით აღმაშენებლის ხმლით

შემოხაზულ 300 ათასი კვადრატულ კილომეტრიანი საქართველოსგან მეოცე საუკუნის პარმალზე სულ 111 ათასი კვ. კმ. შემოგვრჩა. სამწუხაროდ, ისტორიის უსამართლო დგანდგარმა სწორედ მეოცე საუკუნეში დაგვაკარგვინა 66 ათასი კვ. კმ. და 45 ათას კვ. კმ.მდე დაგვიყვანა“ (რ.მიშველაძე „ნამება“ გვ. 73).

როგორი ქართველია! „... მე პოლიტიკის ბევრი არაფერი გამეგება, მარა საქართველოსთვის, ბაბა, ამ წუთში დავდებ ამ ბებერ, გამხმარ თავს ჯირკზე“. აი, ასეთ თავგანწირულ ქართველებს ეთაყვანება დიდი მწერალი.


„ნამება“ იმიტომ უნდა გახდეს საყოველთაო სწავლის და განსჯის საგანი, რომ მასში შემავალი ყველა ნოველა შედეგია. აი, თუნდაც ეს: „უჯუშ კაპბა და მისი მეზობელი სილოვან მორგოშია მიტინგიდან ბრუნდებოდნენ“ (რ.მიშველაძე „ნამება გვ 144).


ის, რასაც სილოვანი უჯუშს მიახლის, არის შიშველი სიმართლე ქართველის დამოკიდებულებისა იმათ მიმართ, ვინც დღეს ენგურის გადაღმა ცხოვრობს და აფხაზებად მიიჩნევს თავს.

„- რომელ აფხაზებს, უჯუშ ბატონო, აფხაზი მე ვარ.

- მე ვინ ვარ, აბა? - ამრიზა უჯუში.

- თქვენ ვინც ხართ, იცით თქვენ, ძალიან კარგად, მაგრამ მარტო თქვენი დამსახურება არ არის, თქვენ რომ დღეს თავს აფხაზებს ეძახით, ჩვენი ბრალიცაა“ (რ.მიშველაძე „ნამება“ გვ. 144).





და აქ იწყება! სილოვანის პირით სახალხო მწერალი ამბობს იმ სიმართლეს, რისი თქმაც ვერავინ გაუბედავითომ აფხაზებს - „...არავითარი აფხაზი ერი და აფხაზური კულტურა არასოდეს ბუნებაში არ არსებულა და მით უმეტეს აფხაზური ენა... თქვენ ვინ ხართ და მე-18 საუკუნეში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ადიღური ტომების - აფილებებისა და აბაზგების შთამომავალი“. (რ.მიშველაძე „წამება“ გვ. 144-145).

ეს შვიდგვერდიანი ნოველა განაჩენია იმ მოჩვენებითი ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის გადამთიელ ადიღური ტომებს რომ აკავშირებდა ქართველებთან. ყველამ კარგად იცოდა, რა „ჩიტებიც“ იყვნენ, თუმცა, მაინც ყველაფერი გაკეთდა, ჩვენი სისხლით გაუმადლარი ქართული ძირძველი მინის პატრონებად გაესაღებინათ. ჩვენს მცონარობას და გულგრილობას „ჩრდილოელი უფროსების“ ცალმხრივი სიყვარულიც დაემატა და აფხაზეთში აფხაზთა სახსენებელი გაქრა. ამიტომ აქვს მწერალს და გაფხიზლებულ ქართველობას პრეტენზიები რუსეთთან და არა იმის გამო, ჩრდილოეთ კორეასთან რატომ მეგობრობს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ „წამებაში“ ნებისმიერი ნოველა შედევრია, ეს 422 გვერდიანი ნიგნი სუნთქავს. აქ გრძნობა გონებას ემსახურება მაშინაც კი, როცა მწერალი 2296 წლის 5 თებერვალს მის ერთ-ერთ გმირს, 1936 წლის 3 ივნისს დაბადებულ პავლე კვერნაძეს გააღვიძებს და ერის მრავალსაუკუნოვან ნატვრას გააცხადებინებს: „სიხარულისაგან ეს ნატანჯ-გამყინავი, ძლივს მფეთქავი გული კინალამ გამიჩერდა, ჩემი გაცოცხლების მეორე დღეს, როცა შევიტყვე, რომ იმპერიის დანგრევისთანავე მეზობლებმა ლორე, სოჭის ოლქი და საინგილო დაგვიბრუნეს, ხოლო ტაო-კლარჯეთი

თურქეთმა 2050 წლის სტამბულის ხელშეკრულებით საქართველოს შემოუმტკიცა. ეს ჩემი ოცნების ახდენა იყო, - ამბობს პავლე კვერნაძე (რ.მიშველაძე „წამება“ გვ. 409-410).

იოანე ოქროპირი ბრძანებდა: „ვეყურებ არა იმის ხარისხს, რაც კეთდება, არამედ მისი შემსრულებლის გულის განწყობას“.

„წამება“ ის შემთხვევაა, როცა ხარისხიც და გულის განწყობაც სრულ ჰარმონიაშია. რომანი სამი ნაწილისაგან შედგება: არჩევანი, ბელურა გემის ანძაზე დ შიში.

პირველ ნაწილს 566 გვერდი უჭირავს. ის ქართველი და რუსი ხალხის 300 წლიან ურთიერთობას ეხება.

მეორე, ყველაზე დიდი 318 გვერდიანი მონაკვეთი წამების ქართველი ხალხისა, „ბელურა გემის ანძაზე“, იწყება 1918 წლის 24 დეკემბრით, როცა სომხეთ-საქართველოს ომის დროს, იმერეთის ასეულმა შულავერიდან სომხეთის ჯარი იფრინა და მთავრდება ჩვენი დროის ოკუპირებულ სამაჩაბლოში განვითარებული მოვლენებით.

მესამე ნაწილი „შიში“ კი სწორედ იმ საყოველთაო გაფხიზლებისკენ მონოდება, სახალხო მწერალი თავის ყველა გამოსვლაში რომ გვახსენებს: „თუ დღევანდელი არხეინობა გაგრძელდება, შეიძლება თავი „თეატრალურ მაჰიდოში“ ამოვყოთ, სადაც არც ბაღის ტირილი ისმის, არც ძაღლის ყეფა და არც მამლის ყივილი.

„თეატრალური მაჰიდო ხვალ დილაამდე რჩებოდა ცარიელი ცის და ლურჯი პოლიციელების ანაბარა.

რადღე გელის, ჩემო უბედურო სამშობლოვ“ (რ.მიშველაძე „წამება“ გვ. 419).

აჰა, თქვენ, ქართველებო, ორი გზა: ერთი მიდის გაერთიანებული საქართველოსკენ და მეორე თეატრალური, მოჩვენებითი, პოლიციელების ანაბარა დარჩენილი, ბაღებისგან დაცლილი ქვეყნისკენ. გზა ქრისტესი თუ გზა ბარაბასი? მთავარი პერსონაჟის მერად შედგომით რომელ გზას გვთავაზობს კლასიკოსი, ძნელად მისახვედრი არ უნდა იყოს. დიახ, „წამებაში“ ქრისტესმიერი გზის გავლის რეპეტიციია მოცემული და აღსრულდა კიდეც: რევაზ მიშველაძემ ამის შემდეგ რომანი „ქრისტე“ შემოგვთავაზა: „როგორც ცეცხლს ახასიათებს გათბობა, წყალს - მორწყვა, ასევე ახასიათებს რწმენას გამჟღავნება კეთილ საქმეებში“, - წმინდა ტიხონ ზადონელი.

კეთილ საქმეებში გამჟღავნებული რწმენითაა აღვსილი ბატონ რევაზ მიშველაძის მთელი შემოქმედება და სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში მისი ჩანერგვა ფრიად კეთილშობილური საქმე იქნება.

2022 წელი დიდი ხუთშაბათი.

გიორგი მალაშხია

ჩემი სამყარო

ჩემი სამყარო ისე ვრცელა, ვით ოკეანე, ვითა ცის კიდე. ხან მუქია და ხან ნათელია, თვალი ვერ წვდება იმის სიდიდეს. ის წარსულია თითქოს უძირო, ყოფის უჭენობი მძიმე ფურცლები. მე მინდა გმირთა საქმეთ ვუმზირო, წინაპართ გვლილ გზებითაც ვტკბები. მე დღევანდელი მხიბლავს თაობა, რა ვუყოთ ზოგიც თუ არცხვენს მოდგმას, ბევრის საქმე და გამბედაობა - ეს ის ლიბოა, ცხოვრება რომ დგას. კაცობრობის მონაპოვრებზე როდესაც ვფიქრობ, ეს ძალებს მმატებს, ფიქრებით დავალ მათ გავლილ გზებზე, ჩავეჭიდები მათს ბრძნულსა აზრებს. ჩემ აზრთ სამყარო უფრო მეტია ვიდრე წარსული, დღევანდელია. მთავარი მაინც მათი ბედია, ვისაც ვუტოვებთ მემკვიდრეობას... ამაყად ვუმზრ მე მთელ სამყაროს, ის ჩემიცაა, მას ვუერთდები. მთელი არსებით. მე მითაც ვხარობ, რომ სამყაროა ჩემი ლექსები.

ეპოპა

ნიაღვარივით მიქრის ეპოქა, ჩვენ თითქოსდა ვართ ხის ნაფოტები, ჩავეჭიდებივართ ჩვევას და ყოფას, გაივლის დრო და ყველა მოვკვდებით. ჩვენ, ვით მდევრები, ეპოქას მივდევთ, იგი ურჩია, ჩვენ არ გვემორჩილებს, ცხოვრების ჯებირს რომ ვეჭიდებით, ჩავეხუტებით ჩვენს ხვედრს, ვით შვილებს. ჭექა-ქუხილით დრო მიგრიალებს, ჩვენ, ვით მდევრები, მივდევთ ეპოქას, ის ხან გვახარებს, ხანაც გვანჯალებს, ვემორჩილებით დროთა მეფობას. ვით ნიაღვარი მიჰქრის ეპოქა, ჩვენ თითქოსდა ვართ, ვით ნაფოტები. შეჩვეულნი ვართ მოცემულ ყოფას, ბედმა რაც მოგვცა, მას ველოდებით. ეპოქის ტვირთი ჩვენ მხრებზე გვანევს, ბედს ჩვენს ვეღარსად ვერ გავექცევით, ეპოქას, ვით კლდეს, გვერდზე ვერ გავწევთ, ვცხოვრობთ ამგვარი აზრით და ქცევით. მოდით გავტყვობთ ნავსი ჩვეული და შევეცადოთ მის დამარცხებას. თუნდაც გვიწოდონ გადარეული, დაუფორჩილოთ იგი ჩვენს ნებას. შევეცვალოთ იგი, რაც კი არ მოგვწონს, რომ იყოს ისე, ვით სურს ჩვენსა გონს.

პუნება

ბუნება საოცარია - თვალუწვდენელი სამყარო, უბადლო, სანუკვარია, რაც აქ არსებობს და ხარობს. ბუნება სილამაზეა, განუზომელი სიმდიდრე, ყველას მიღმა და კარზეა მისი სივრცე და ცის კიდე. ჩვენი მეორე დედაა - მაცოცხლებელი მზრუნველი, სიხარულია, სევდაა, ბრძენია, როგორც რუსთველი. ბუნება არის სანყისი სიკეთის, სიყვარულისა, ის არის „ოქროს სანმისი“, აძგერებაა გულისა.

ხანდახან კიდევ მკაცრია, გვაფრთხობს სასჯელით ცოდვილებს, ის ინდობს, ვინც მამაცია, არ ზოგავს მონა-მორჩილებს. ბუნება გასაკვირია - თითქოს ლამაზი ზღაპარი, საიდუმლოთა სკივრია, ამხსნელი, აბა, სად არი? არ აქვს სანყისი, არც ბოლო, არც სივრცის, არცა დროისა, ჩვენ კი ეს ვიცით სულ მხოლოდ: ის ყოველივეს მოიცავს! რთულია კიდევ მარტივი - ეს გვაქვს მრავალგზის განცდილი, ჩვენ კიდევ გვერგო პატივი, ვართ საოცრების ნაწილი!.

აზრები

ჩემი აზრების რაშები სამყაროს გულში ჩნდებიან, აღარ სჭირდებათ საშვები, ყველა ზღურბლს გადასცდებიან. არ რჩებათ მიუწვდომელი მსოფლიოს ერთი წერტილიც - ადგილი მიუდგომელი სხვა რომ ვერავინ ვერ ივლის. დრო უსასრულო, უძირო მათთვის ვეღარ ქმნის ჯებირებს, მათ შეუძლიათ უმზირონ საუკუნეთა გრძელ რიგებს. ხან ეწვევიან მომავალს, ვით დაგეშილი მსტოვრები, რომ გვაცნონ, მოგვცემს რას ახალს, წელთა ნაკადი გოგებით. აღარ სჭირდებათ მოტორი, არც ენერჯია ულვეი, მათ შეცვლის გული და გონი სხვა ვერაფერი სრულებით. ვეღარ გაზომავს სისწრაფეს მათსას ვერცერთი მრიცხველი, გაუსწრებს კიდევ სინათლეს ამოფრქვეული, ფიცხელი. რაშები ჩემი აზრების სასწაულს ისე სწადაინ, მათთვის ახლოა კვაზრებიც, აზრები რა დიადია!

უტოპია

არის ქვეყანა ერთი ასეთი, კაცი კაცისთვის რომ არის ღმერთი და არა როგორც თვლის აზრი ძველი - დაუნდობელი როგორცა მგელი. ამ ქვეყნის ბურჯი სიყვარულია, ყველას აქ მკერდში თბილი გული აქვს; აქ არის კრძალვა, პატივისცემა, უცხოა ომი და ვინმეს ცემაც; ყველა ერთმანეთს ექცევა ნდობით, აქ ყველა ხარობს ერთობით, ძმობით; არავინაა მეტად მდიდარი, ვერსად იპოვით ვერც ერთსა ღარიბს; გახარებული არის ყველა თავისი საქმით, გაღალბებული მადლიანი ხვავით, ბარაქით; აყვავებული არის ყველგან მხარე, მიდამო, ცხოვრება არის ყველასათვის ტკბილიც, საამოც... ნულარ გგონიათ უტოპია აქ მოთხრობილი, სიმართლე არის ხომ ყოველთვის ზღაპრის ნაწილი, თუ კი დღეს არა, ყოველივე ეს ხომ ახდება, კაცთა მოდგმა კი მით იხარებს და ამალდება.



მურად ზარნაძე

საფერფლეს კი მეძახიან, მაგრამ მხოლოდ საფერფლე როდი ვარ. ყველანაირ ისტორიას - სახუმაროსა თუ თავშესაქცევს, უხამსსა თუ დასამდურავს უწყვეტად ჰყვებიან ჩემს ირგვლივ. ხშირად მწველთა გაუთავებელი მასლაათი და ლაი - ლაი საოცარი გულლიაობითა და მიამიტობით გამოირჩევა. ხანდახან მათგან მომდინარე საუბრის ტონალობა კი მზარავს და უსიამოვნო ხორკლებსაც მაყრის. თუმცა ამასაც შევეჩვიე იშვიათობის გამო.

რა ვქნა, თუ თავიდანვე ასე დამებედა: ქალი თუ კაცი, უმცროსი თუ უფროსი გულს იჯერებენ ხოლმე საუბრით ჩემს სიახლოვეს და ნისქვილივით ფქვავენ ყველაფერს. აი, დასაბამიდანვე ასეთი ჯადო და ხიბლი მაქვს მომადლებული!

ეჭვიც არ მეპარება, ნებისმიერი გულთამხილავი შურით აღივსებოდა ჩემი შემხედვარე. თქვენ კიდევ ფიქრობთ, რომ ერთი ჩლუნგი, უსახური და უტყვი საფერფლე ვარ? - არა, ჩემო კარგო! ცხოვრების შუაგულში ვტრიალებ, ცისას თუ მიწისას, ყველაფერს ვისმენ და ვიმასხოვრებ. ამის შესახებ თქვენ არც გიფიქრიათ - გულუბრყვილოები რომ ბრძანდებით იმიტომ. ბევრის წარმოდგენით მხოლოდ ფერფლს ვიტევ და ნამწვავების ბუდე ვარ! ამიტომაცაა, დილით სამსახურში რომ გამოცხადდებით მთავარია, ცარიელი და სუფთა დამინახოთ. აბა, ვის რაში გაინტერესებთ ჩემი ფერი, საოცარი სინატიფე და უჩვეულო მოყვანილობა. ფოიეს ბოლოში გრძელ, დაბალ მაგიდას შემოუსხდებით და წვრილმანებში ჰყვებით სამსახურის გარეთ რაც გადაგხდათ. მაგიდის შუაგულში, საპატიო ადგილას, სალოცავი კერპივით მე ვარ წამოსკუპული. თუმცა რად მინდა? - ზედაც არავინ მიყურებს. ის კი არა ნამწვავების ჩაქრობისას ხელსაც კი ნამკრავთ ხოლმე. ეს უფრო დილით ხდება, ფეხბურთის შესახებ როცა კამათობთ და მოზღვავებული ენერჯის გამო ზომიერების გრძნობა გეკარგებათ. სიმართლე გითხრათ, აღარც მწყინს თქვენი ჯლიქვები და ნამოკვრები. ერთმანეთს საუბარს არ აცლით, ემოციებს ვერ იოკებთ და ამ ორომტრიალში მე როგორღა გემასხოვარებით? თქვენს დაძარღვულ, შეჭარხლებულ და აღმურიან სახეებს რომ ვუცქერო,

მეც ჩემებურად ვერთობი. ბოლოსკენ, დროის შეგრძნება როცა გეკარგებათ და ველარაფერს ამჩნევთ, მთელი ამ ხორხოცისა და ღრინაცელის შეკავება ფირმის დირექტორს, ბატონ ირაკლისლა თუ შეუძლია - ისე წამოგადგებათ თავს კარგა ხანს ვერც ამჩნევთ, მხოლოდ მესამე შეყვირება თუ მოაღწევს თქვენს ყურებამდე.

უუჰ, რა სასაცილოა! ისე ვაკმინდავთ ხმას, თითქოს დირიჟორმა ჩამოჰკრაო. ეს რესპექტაბელური და წარმოსადეგი პიროვნება კი მანამ დგას ფოიეში, ვიდრე ხმაჩაკმენდილე-

ყოვლიშემძლედ წარმომიდგება და შიში მიპყრობს, ბედნიერებამ სრულად არ შემისრუტოს.

გამოგიტყდებით, მათი სული და გული - ლიკა ვერ იყო იმდღეს სანაქებო განწყობაზე. ფერმიხდილი და გაცრეცილი, მიღებული მთვარესავით იჯდა და წამდაუნუმ სიგარეტს აბოლებდა. როგორ არ მიეფერენ და დაუყვავეს, მაგრამ შუბლი მაინც არ გაეხსნა..

-დედამთილი წამეკინკლავა ამ დილით, ფორმაში იყო ქალი! - ოხვრით ამოიკრუსუნა მეტისმეტი ჩაციების შემდეგ.

ერთხელ საფერფლემ გამანდო

ბი და უხერხულად ანურულები ოთახებში არ შელაგდებით.

არ დაგიმაღავთ და ეს უეცარი სინყნარე მაშინებს და მაკრთობს რალაცნაირად. აბა, სირუმე და მყუდროება ლამის განმავლოდამიც ხომ ყელში მაქვს ამოსული - გნაისი, უივილი - ხივილი და შეძახილები სიცოცხლეს მიხალისებს და მილაშაზებს - ჩემი კეთილდღეობა და ფუფუნებაც ამაში მდგომარეობს.

2

ბედნიერ ვარსვლავზე დაბადებულივით ჩემი შეჭირვება დიდხანს როდი გრძელდება. სულ რაღაც ნახევარ საათში, ჩემი ყაჩაღანა და ლამაზუნა გოგოები შემომისხდებიან ირგვლივ. შორიდანვე ვგრძნობ მათ მოახლოებას მათობელა სურნელით, რომელიც მყისიერად მიპყრობს და მიმორჩილებს. მაშინვე ვხვდები, თუ რა ტურტლიანი და აქოთებული საფერფლეც ვარ. მიიღეთ ჩემგან ეს როგორც გულწრფელი აღიარება. რა ვქნა, მიხარია მათი დანახვა! ხუთივე ერთმანეთზე უფრო მიმზიდველნი და ეშხიანები არიან. დიდხანს თუ უცქირე და დროზე თვალი არ მონყვიტე, შეიძლება დაელამდე კიდევ. ოო, ჩემთვის დიდი ბედნიერებაა მათი მზერა. მათ სახეზე ღიმილს რომ შევამჩნევ ბედის წყალობად და ნეტარებად მიმანჩია. არადა, თქვენ წარმოიდგინეთ, სულ იცინიან, კისკისებენ და მათი შემხედვარე გული რა დღეშიც მექნება იოლად ჩაწვდებით.

ასე რომ, ვილაც - ვილაცები ტყუილად გვიყურებთ ეგრე ამრეზითა და წყრომით. ნუ დაგავინცდებით, ხანდახან აღტიკინებისა და აღმაფრენის ლამაზი წუთები ჩვენც, უბრალო საფერფლეებსაც გვაქვს და უნებურად ნაზი გრძნობები შეგვიპყრობს ხოლმე. ეს კიდევ არაფერი! მიჩოჩებისას როცა შემეხებიან, იმწამსვე ბედნიერების ტალღეებს დამკრავს და ერთიანად გავიყურსები. მათი სათუთი და ნაზ - ფუნჩულა თითების შეხება მეფურ გრძნობებს აღმიძრავს, თავი

მერე დაიწყებს დედამთილზე ექსპრომტად ლექსების შეთხზვა. თუმცა ლიკას მოქურუხებულ და მიბნედილ განწყობაში მზის სხივმა მაინც ვერ შეაჭყიტა. გვიანდა მიხვდნენ, რომ მდგომარეობა უფრო საგანგაშო იყო, ვიდრე წარმოედგინათ და ერთ წუთში ეს ქაჯანა და ლალი გოგოები დარბაისელ და ჭკუადამჯდარ ქალბატონებად გადაიქცნენ.

გამიჭირდება იმის გადმოცემა თუ რა სიმალღეებს აღწევდა მათი განსწავლულობა ქალის ფსიქოლოგიაში. უბრალოდ, განცვიფრებული და გაშტერებული დავრჩი. პირდაღებული ვუსმენდი მათ დარიგებებს და ალერსიან, გულთბილ, მშობლიურ დამოკიდებულებას დათრგუნვილი ლიკასადმი და ჩემს თავსაც ვამუნათებდი საკუთარი უსუსურობის გამო - ერთი სიტყვის, თუნდაც ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე და ტკივილი ვერ დაუამე ჩემს ლიკუნას. ოხ, ეს საფერფლეობა! აბა, ბედუკულმართეობა არ არის ამ ქვეყნად საფერფლედ გაჩენა? გულს იმითლა ვიიმედები, რომ სახლში დაბრუნებული ლიკა ამდენი რჩევა - დარიგებებით დამძიმებული, პირველივე წუთებიდან იოლად განაიარალებდა დედამთილს. ის კი არა, თუ რჩევებს ბოლომდე მიჰყვებოდა, ის ენამწარე და გულღრძო ქალი ღვთის საჩუქრადაც შეიძლება შერჩენოდა.

3

გაგიმხელთ და ბედმა ამას წინათ საოცრად გამიღიმა, საუცხოო დარი დამიდა და კარგადაც ვიხალისე: დირექტორი ირაკლი ქალაქის მერიამი გამოიძახეს. მისი ნასვლიდან ორიოდე წუთში ბიჭებიც და გოგოებიც ჩემს ირგვლივ შემოიკრიბნენ. ძველებურად წამოიწყეს უწყინარი და უჩვეული ხუმრობები. თავიდან აქ ყველაფერი მოკრძალებისა და თავმდაბლობის საბურველში იყო გახვეული. ოჰ, რა ინტელექტი და თავაზიანობა გამოსჭვიოდა მათ ურთიერ დამოკიდებულებაში! რა ჭკუა და გონება იფრქვეოდა ყოველი მხრიდან! ლამისაა სიხარულისა-

გან დავლური დამეველო. თუმცა რა? ჩემი ეს გატაცება და ფრთების გაშლა ცოტა ხნით გაგრძელდა. რამდენიმე წუთში ისეთი სიტყვიერი შეხლა - შემოხლა, ქიშპობა და ჯიბრობა ატყდა მათ შორის, გაქცევა რომ შემძლებოდა, ბევრს არც ვიფიქრებდი: ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ; ყველაფერზე კამათობდნენ და ცხარდებოდნენ; თავიანთ საზრიანობას, სიბრძნესა და გამჭრიახობას ხმის ჩახრენნამდე ამტკიცებდნენ; არც სიტყვიერ ჩხვლეტებს ივინყებდნენ. თუმცა უეცრად ისეთმა სიცილ - კისკისმა დაიგრილა, ისე გადაიხარხარეს, გავივიფიქრე, სადაცაა კედლები ჩამოინგრევაო. მერე, გვიანდა მივხვდი, რომ ეს ერთგვარი ოინი და თვალთმაქცობა აღმოჩნდა ჩემისთანა ყვეყნისათვის.

ოდესღაც ხომ უნდა დავიჯერო და დავიმახსოვრო: მათი „ცილობის“, „ქიშპობის“ და „გაუტანლობის“ უკან საოცარი მიფერება, სიყვარული და უშურველი ალერსია მიჩქმალული. ეეჰ, მართლაც რომ საფერფლე ვარ! თუმცა ტყუილად ვცხარობ, ჩემი გაკეთილშობილება ანი ვისლა შეუძლია?!

ასეთი განამანითა და ჩოჩქოლით დიდი ხნით შემორჩნენ ჩემს ირგვლივ და დალამებისპირს შემომეცალნენ. გულდანყვევით ვუცქერდი, როგორ გადიოდნენ კარებში. ორშაბათამდე ერთ ფრახას მიტოვებენ გამოცანასავით, ხუმრობით თეკლამ რომ ესროლა ვახოს: „ბევრს ნუ დაძვრები თუ არა, იცოდე ცოლთან ჩაგიშვებო!“ იქნებ მეყოს შნო და ლაზათი იმისათვის, რომ ჩავწვდე და გამოვიცნო თუ რა იმალება ამ სიტყვების მიღმა.

ორი დღის საკმარისი სითბო და ალერსი მართლაც დამიტოვეს. სასაყვედურო არაფერი მაქვს. უქვევლია, არ მოვიწყენ ორშაბათამდე. მერე კი... ყველაფერი თავიდან დაიწყება.

აი, ასეთ ყოფაში გადის ჩემი წუთისოფელი. ვფიქრობ, აღგზნებისა და სიხარულის წუთები საკმარისად მაქვს და მომავალშიც რატომ უნდა მომაკლდეს? მხოლოდ ესაა, ამ ბოლო დროს ერთი უცნაური ფიქრი ამეკვიცათა: ზაფხული ახლოვდება და მეშინია, ფანჯარა არავის დარჩეს ღია, თორემ ხომ შეიძლება ღამით ძლიერი ქარი ამოვარდეს, ძირს გადამაგდოს და ერთიანად დავიმსხვრე. დილით დამლაგებელი ზინა რომ მოვა, მაშინვე ამფხეკს და ნაგვის ურნაში უსულგულოდ ჩამყრის. ისე რომ თვალსაც არ დაახამხამებს, თორემ შეცოდებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია. ეეჰ, მხოლოდ ზინა? ისინიც რომ მოვლენ და ჩემს ადგილზე სხვა საფერფლე დახვდებთ წამოჭიმული, ცვლილებას ვერავინ შეამჩნევს, - არც მომიკითხავენ. თითქოსდა ამ ქვეყნად არასოდეს ვარსებობდი ან მათთვის ერთგული სამსახური ოდესმე დამანებდეს. მითუმეტეს თავის დღეში ვერავინ შეიტყობს თანვე რომ წავიყოლებ უმრავ დაუწყინარ ემოციასა და ტკბილ მოგონებას.

დეკანოზი ბენიამინ ჩიხორლიშვილი

თუ არ გიხილავთ ყვარალი

თუ არ გივლიათ ბილიკზე ილია მართლის მთების... თუ არ გისვიათ დურუჯის და ჩაგურგურას წყლები.

თუკი არ გადაგიცურავთ ზღაპრადქცეული ტბები, თუკი არ დაგიღვევიათ ქუნძმარაულის ზვრებისა.

თუ არ გსმენიათ „ჩაკრულო“ და „მუმლი მუხას“ ხმები, თუკი არ დატყვევებულხართ ბაღჩას გაშლილი ვარდით.

თუკი არ გაბრუებულხართ მინდორთ ყვავილთა ბანგით... თუკი არ შეგფეთებიათ ციხე - ჟამთასვლის ჟანგით.

თუკი არ მოგილოციათ გრემი, ნეკრესი მაღლით, თუ არ დამტკბარხართ, ჯერ კიდევ ყვარლელ პოეტთა ჩანგით.

ბევრი რამ დაგიკარგიათ, თუმც, ღმრთის იმედად მყავდით!

დავით წირქვაძე

რა საამო ხმა მოისმის ნალარის და დაფდაფების, ქვეყანა მუდამ ლალი მოზეიმე ქართველების! კლდეებსა და ჩანჩქერებში იკარგება ეგ ხმა ტკბილი, მოშურნენი გვახვევიან ზიზლით,მტრობით შეპყრობილი! აგერ მინდვრად მიაჭენებს ახალგაზრდა თეთრ ბედაურს, ცხენი ფლოქვით აპობს ჰაერს, უკან მისდევს ქარის ხმაურს! აქ განთიადს დილიდანვე ეძალევა კაეშანი, აშრიალდენენ ხის ფოთლები, დიდმა მთებმაც მისცეს ბანი! ორლობებში ბერიკაცი მიზოზინებს ძველი ურმით, კაცი უკან,შინ ბრუნდება ღვთისგან მოგზავნილი სტუმრით! გაიშალა ტკბილი სუფრა, და იცლება თასი თასზე, ჰო,ასეთი თბილი ხალხი, თუ არსებობს ქვეყანაზე?!

შეგიძლია?!-მოიარე ამ სამყაროს ყველა მხარე, მერე მოდი,ამ ჩემს მამულს სათითაოდ შეადარე! აბა,სხვაგან სიხარულით ვინ გაგიღებს სახლის კარებს?! აქ უფალი კაცს ძმას არა მოსისხლესაც შეაყვარებს! თვალუყუუნა ქალ-ვაჟები, თვალხატულა გოგო-ბიჭი, მუდამ გამოირჩევიან სიყვარულის,სწავლის ნიჭით! მხოლოდ ჩვენთან მოგიხმობენ: "შემოგველე ! გენაცვალე!" შორით მყოფი მამულს ეტრფის: "მოვალ,დაგიკოცნი თვალებს!" ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გაუშლია ფრთები ქართველს, მძარცველებმა ჩვენს "საკინძეს" ხელი ბილწად ვერ შეახეს! ახალგაზრდა თეთრ ბედაურს მიაჭენებს თოვლში,ქარში, უხარია,დაიბადა ასეთ ლამაზ ქვეყანაში! რა საამო ხმა მოისმის ნალარის და დაფდაფების, ქვეყანა თვალწარმტაცი, მეომარი ქართველების!

ზურაბ მამულაშვილი

აპრილმა ჩამომიქროლა

აპრილმა ჩამომიქროლა... დავხვდი ლექსების კიდობნით, მე გაზაფხულით მინდოდა, შენ შემოდგომით მიხმობდი.

ისე ძალიან ცხელოდა, ქარმა მოიძრო მანდილი, გული მარტის თვეს ელოდა, თურმე ყოფილა ჩავლილი.

მაინც ვითმინე ჯინაზე, გული სხვა რამეს ჩემოდა, მჯეროდა შენი სინაზე, აპრილებს გამოყვებოდა.

შემოირბენდი ვენახებს, საოცარ ფერთა გამაში, კიდევ ერთხელ რომ მენახე ლურჯპეპელიან კაბაში.

მაგრამ ვერსაით გიხილე, გული გასივდა დარდისგან, თუმცა სხვას რას მოველოდი, მარტში გაცნობილ ქალისგან.

აპრილმა ჩამომიქროლა... თავის ჯადოსნურ ფერებით, ვაგლახ, როგორც მე მინდოდა, წელს ველარ მოგეფერები.

ეკა კვიციანი

ღმერთო, სამშობლოს მტრის გასამუსრად, გთხოვ, არ მანახო უკან დამხვევი, ისე ჰქმენ, ყველას, დიდსა თუ მცირეს, ახსოვდეს ზარზმა და ქვათახევი. მან შეჰღალადოს სულის ფესვიდან, იმ შემონახულ ფრესკას, ყინვისის, ვინც ღმერთს და მამულს თავი შესწირა, ალბათ ჯავრისგან დღესაც იწვის - ის! ახლაც იმ სანთლის წრფელი ნაღვეთი, გულში ჩაკრული მრევლს მზესთან მიაქვს, ალბათ ცაც მამინ პირჯვარს იწერდა, რომ უხატავდნენ ჭერს ბეთანიას. მახსოვს, ახლახანს ტყვიების სეტყვით, შინდისის ველზე და ნიქოზს წვიმდა, ჩემი წინაპრის ლოცვით აუგეს მთებს, ლამაია და ნიკორწმინდა. და მეც სამშობლოს ჯავრით გულმკვდარი, ახლა ფიქრებით ცას გადავედი, გზად კი შემომხვდა ნისლში ჩაფლული, შუამთის ქარი და ალავერდი. ახლაც ყურს მესმის მშვიდი გალობა, ხავსს რომ აგლეჯდნენ, იმ მონასტრისა და თითქოს ახლა მტერთან დაღვრილი ბაბუის სისხლიც მზემ მომაგლისა! მუხლს იყრის დღესაც და სულის ჭიდან, ლოცვით იწყება კვლავ გერგეტობა და სადმე მზემ თუ თვალი მოხუჭა, ჩემს სამშობლოს ეგ არ შეეცყობა, რადგან ისევე იქ ისმის გალობა, ისევე ალებენ კარს ანჩის ხატის, რადგან ჯერ კიდევ შეგვწევს უნარი, ისევე ამ მინის და ამ ცის ხატის. შემოუნახავს კოლხეთის მინას, ქვათა სიმღერა, ძლივს, ტაბაკონის, არ გაიხარებს, ღმერთის ნაოფლარს და ნაამაგარს, ვინც ტაძარს კორტნის. ის დღე ასად ღირს, ძველი ტაძრიდან, ღვთისმშობლის სახე, რომ შემომლიმებს, სარკინეს მთაზე, გულღრმა მღვიმეში, დღესაც არ სძინავს, ჰო, შიო მღვიმელს! მიხარის, ნათლად რომ შემომხარის, ძველი ტაძარი, იმ ბაგრატისა, ნეტავ საფლავში, ან აქ რით სძინავს, მინა და წყალი ვინც გაასხვისა?! ვიცი, რომ ჩემი ფეხის ხმას ელის, ჭერნატყვიარი ცა, აბჯავისა, ვერ მომერია მტერი, დუშმანი, ვერ დამაჩოქა, ვერც აბჯარს მყრისა! ჰო, დღესაც წამლობს ძველ ნაჭრილობებს, სული აწყურის და არაშენდა, ის შეგუებას მტრების რისხვისა, არ მაპუებდა და არ მაჩვევდა. შემორაგულა ოქონის მთაზე ცის მონასტერი, მამების ძვლებით, ოდიტან გვცლიდნენ მტრები დოქივით, ათიათასჯერ და არ ვიცლებით. რადგან ჯერ კიდევ რეკენ ზარები, რეკენ ზარები, ლურჯი მონასტრის, მე კვლავაც მჯერა, ხვალ შვილიშვილი, სანთლებით სავსე ხურჯინს მომანვდის.

1 ივნისი გავევთა ღაცვის ღლა

ვაჟა მიროტაძე

სტუმარი

გაზაფხული მოვიდა, გალობს ჩიტი მზენვია, ლადო პაპას ნანატრი, შვილშვილი ეწვია. თვალში სხივი ჩაუდგა, გულში კიდევ ხალისი, უხარია სიცოცხლე, გათენება ხვალისი. ჟღურტულებენ მერცხლები, ჩამოსძახის მზენვია; გაიხარე, პაპილო, შენი ლადო გენვია.

ზღარბი

ერთხელ ბებომ ბაღჩაში, წაიყოლა ფაცია. გზაზე ზღარბი მოგორავს, ეკლიანი, ქაცვია. ზღარბო, ზღარბო, ზღარბუნა, ეკითხება ფაცია, ამ თაკარა სიცხეში, ქურქი რატომ გაცვია!

ქოჩორა სოსო

პაპამ უთხრა სოსოსაო, თმა მიგიგავს ჩოჩორსაო, თუ არ გჯერა, ეგე, ჰკითხე, თანდილანთ ბოჩოსაო. სოსომ ჰკადრო, პაპაჩემო, რად მადარებ ჩოჩორსაო. იმის მერე გულმოდგინედ, ივარცხნიდა ქოჩორსაო.

რთველი

ხეზე ასულ ვაზის მტვენებს, მზე დაჰნათის ჩახჩახელა, კენწეროში მოქცეულან, აქეთ ზურა, იქით გელა. ყურძნით სავსე გიღლებს თოკით, ძირს უშვებენ ნელა-ნელა, მღერიან და იცინიან, იკრიფება იზაბელა.

მომსურავი

მამამ ანდრო წაიყვანა, საბანაოდ ძირულაში, გაიყურსა ნეტარებით, ცივციველა ბინულაში. ცურავს, ცურავს, კმაყოფილმა ბავშვმა თვალი მილულაო, იმის მერე ესიზმრება ქათქათელა ძირულაო.



ნელი ბინაძე

დედის ღარიბება

სასწორზე არ დადო წამი, არ გინდა გირა და პინა. ცხოვრებას დაატყვევ კვალი, სიცოცხლე შტორმივით გრგვინავს. ზვირთები მიაპობს სივრცეს არ შედრკე, განაგრძე წინსვლა. სცადე და მისწვდე იმ ერთს, რაც ასე ძალიან გინდა.

სიყვარულის ღღე

სიყვარულს რად უნდა დღეები. ეს ლალი, ლამაზი ფერია, გეწვია? სიცოცხლე შენია! არა და, მზეც ღრუბლისფერია.

სიყვარულს რად უნდა დღეები. მას ამკობს ირიდას ფერები. თუ გიყვარს ის ყველაფერია, არა და, მზეც ღრუბლისფერია.

სიყვარულს არა აქვს დღეები, ყოველდღე სიცოცხლის მფენია. თუ გიყვარს სამყაროც შენია, არა და, მზეც ღრუბლისფერია.

ღაპირება

მე შენს ნისლიან შემოდგომას, ფერად გაზაფხულად გადაგიქცევ. ისევე აგიფეთქებ გულში გრძნობას, ისევე სიყვარულზე დაგაფიქრებ.

ნაზად დაგიბერტყავ წლების დარდებს, უმძიმეს ტვირთად, რომ მხრებზე განევს. გულში აგიყვავებ ლამაზ ვარდებს, ოღონდ არ დანებდე წლების მაცნეს.

ისევე დავინახავთ ცისარტყელას, ვიტყვი, რომ ლოდინი ამაღ ღირდა, მშვიდად გადავანყობთ მიზანსცენას. იმედით შევხვდებით ახალ დილას.

მონატრება

ნუშის აფეთქება მარტსაც დააჩოქებს აპრილიც დაიფრქვევა კვირტებად. შენი მონატრება ვიცი გამაოგნებს. ფიქრებიც აიშლება კირთებად.

უფლების არ ქონას გული ვერ გაიგებს, და ვერც ვერასოდეს მიხვდება. წვიმაც ველარ წაშლის, ქარიც ვერ წაიღებს, გრძნობას აგორებულს ზვირთებად.

მარტი გიჟიან ამასაც ამბობენ, გიჟს ხომ ჭკუაც არ ეკითხება, მაგრამ ეს აპრილი? აპრილი მაოცებს, რატომა დუმს და ჩუმად რად ელიმება?!

ჩურჩული ტალღათან

ქალი დარია, კაცი ქარია, ნეტავი ეს ზღვა რამ გადარია? დანყნარდი კარგო — ჩურჩულით გეტყვი, ვიცი, ეს შფოთვა ჩემი ბრალია.

ბოდიშც მოგიხდი, ქედსაც მოგიხრი, თუ საჭიროა კიდევ მოგიცდი. მზე რომ ამოვა, ყველაფერს შეცვლის, და მერე ტალღაც ნაზად მოგვივლის.

ვნებაც გაქრება, გრძნობაც დაცხრება, ტკივილიც, დარდიც სადღაც გაქრება, დასასრულიც ხომ იქნება სევდის, მოგონებებიც ჩვენთან დარჩება.

ქალი დარია, კაცი ქარია, ირიდას ფერებს რაღაც აკლია. სიცოცხლის არსი მუსიკად მესმის, ეს ყველაფერი მაინც კარგია.

მიყვარს მარტი

მიყვარს უცნაური, ანცი მარტი მისი ცვალებადი ხასიათი, ზოგჯერ ჭირვეული, ზოგჯერ წყნარი, მიყვარს გაზაფხულის დედოფალი.

ამბობენ, გიჟიანო, მერე რა... სიგიჟეს სიყვარულის ფერი აქვს. არასდროს დაემსგავსო თებერვალს შენ, ჩემო გაზაფხულის ფერიავ.

მიყვარს უცნაური, გიჟი მარტი, მიყვარს მისი თოვლიც, მისი ქარიც. მისი წვიმაც მიყვარს, მისი დარიც. მიყვარს გაზაფხულის დედოფალი.

იმაღი

მითხარი, რომ აღარ გხიბლავს ჩემი სახე. მითხარი, რომ აღარ მხედავ სიზმრად. მითხარი, რომ ნახვედი და გაიაზრე, უჩემოდაც ცხოვრობ ლალად, მშვიდად.

მაშინ ალბათ, მეც ვისწავლი უშემობას. მაშინ ალბათ, აღარც დაგიფიცებ. მაშინ ალბათ, სითამამე მეც მეყოფა, გადაგისვავ ხაზს და დაგივიწყებ.

მაგრამ, ვიცი, რომ ტყუილი გამოგვივა, მაგრამ ვიცი შენი გრძნობის სიღრმე. მაგრამ, ვიცი უშენობით რაც მომივა, არ მეყოფა სუნთქვისათვის სივრცე.

და ამიტომ, და ამისთვის, და ამგვარად, დამიტოვე იმედი და რწმენა, რომ გაივლის გარკვეული დრო და კვლავაც შევძლებთ ერთად ლაყვარდებში ფრენას.



ელისო ქიტიაშვილი

საეპი

ცრემლები ცვივით ფოთლებად ხეებს, სიცივით გათოშილთ, ვეველები იმათ ტოტებსა - ხელებს სხივივით გამომოლილთ.

ვიცი, გაზარდეთ მარტონი, სიკეთით ჭვრეტდით ქებულნი, სტირით - რას არგებს პატრონი შიშველ-ტიტველი, ვნებული?

- ნუ დაღონდებით, ხეებო, ნუ გადაყვებით ფიქრსაო, ნურც რა გონებით შეხედოთ, სულ გადაბოლილ ნისლსაო.

კვლავ გაზაფხული დადგება, კვლავ გაიღვიძებს იანი და სალამური თავნება ხმას დაინმინდავს ხმიანი.

გაიშინებთ ამაყად ცა თოვლით გადარეული, კვლავ იშრიალებთ ბალადად გაფოთლილ-გალაღებულნი.

უკრაინაში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცებს

„შენ სიხლო ჩემო, სად არ დაღვრილო“ მუხრან მაჭავარიანი

დრო მიქრის ნატაც სიზმრებით, იქცა მუსტანგად კვალისა, ხოლო ის ფარა ფიქრების, იმანც ნუ დამამწარისა.

თქვენი გულია სახელი, ხმა, თუნდ ვით კარგი ხმალისა, გშენით გულიდან ძახილი მამულის გასახარისად.

კაცურ შესწირეთ სიცოცხლე მშვიდობის შუქით ხვალისად და სულთ ეჭდიეთ დიდგორზე, თვით შორით შუქიც კმარისა.

გარეთ გეძახდათ სამშობლო, ქართული სისხლით ნაბანი და ეს გეხატათ, ნაშობნო, მამული, მისი მთა-ბარი.

დრო გავა ნატაც სიზმრებად და მუსტანგებად კვალისა, დრო გავა, აქაც იქნება მთლად უკვდავება ნამისა.

ქმობა, ერთობა, მშვიდობა

ქმობა, ერთობა, მშვიდობა, მათ ვაქებ, მტკიცე ხიდია, ქმობას ეტრფოდა ჩიორაც, ანათებს, კიბე დიდია.

ნურც ნუ ვიურვებთ კლებასა იმ ვერ შეკრების ცნებათა, შურს თუ მიუშვებ ნებასა, თვით შეეყრება ვნებასა.

ნურც ნუ გუნდებად მალლობდეს გმობა, მტერობა, ცილობა, სულ უშურველად გვამკობდეს ქმობა, ერთობა, მშვიდობა.

ურთიერთშეხმატკბილება გვალაღებს, ვითარს ჯიშია სულითვე მეხამრიდებად გაგვზარდეს, ვითარ შვილია.

გვაშოროს, ძმებო, ბოროტი, ჩვენც გავაოცოთ მშვიდობა და მხოლოდ ვკვებოთ ბოლომდის ერთად დავლოცოთ გმირობა.

ჩვენი მშვიდობა

მშვიდობა არის მშობელი, მისვე კაზმული მტრედია, შიბოსა დაფნით მკობელი, ვით ხელდასმული გენია. ვით არ აღვავსო სულ ქებით, ან მის მსგავსი და სადარი, იმან ჩააქრო გულეში ხალხის ღვარძლი და ხანძარი. ჩვენ გზა მშვიდობას დავუთმეთ და რა ჯობს მეგობრობასა, ვერც რა ვის კოკა დადუმდეს, გზა ვკაფოთ, ვერგოთ ქმობასა. სხივი შეგვმატოს მშვიდობამ, მით უნდა გვეთქვას კაცური, ის მიეფაროს კიდობანს, თვით უკვდავებად დაცული. დარობდეს დედამინაზე მტკიცე ქმობა და მშვიდობა, რაც ოდენ ერთად ვინამეთ, ის გვეცნოს მარად გმირობად. მშვიდობა არის მშობელი, ვით ხელდასმული გენია.

გვინდა მშვიდობა

ორი უნაკლო განძი გვაქვს, მეგობრობა და მშვიდობა, გთხოვთ, იმ უჟამო ღვანლითა, ღმერთო, შორს გავგეთქვას გმირობამ.

ვერ ვპოვე განძის სადარი, მოგვდამს და გვინდა მშვიდობა, შევნოდეს მკას, ვით სამკალი, შორს გარდაიქმნა თვით ქმობა.

ძმა რომ ძმით არის ძლიერი, მშვიდობას შუქი ამშვენებს, სანდოდ ვზრდით კვალით ბრძნიერით, ვით ოდას, გულით ნაშენებს.

სულ უჩნდეს მეტად ყველაზე ხალხს ხატად, სავარდებოდა, ვუსურვებ ჩვენს პლანეტაზე პატარა საქართველოდან.

ლუარა ნიჟარაძე

რევაზ მიშველაძეს

ჰეი, მწერლო, მართლისმეტყველო,
 ერის მესაჭევე,
 აახშიანე სულის ფურცლები, სთქვი
 სიმართლე,
 ქვეყნის საღებავად აიღე სიტყვა და ერს
 მოჰვინე,
 მართლის სინათლე, ჰეი, კალამო,
 ვითარ უძლებდი.
 იღვროდი, როცა სტრიქონთა მზერად,
 შენმა ზეობამ,
 ერს სიამაყე უძღვნა, ვითარცა
 ვარსკვლავთა მღერა,
 უკვდავ სტრიქონებს ასხამდი ქარგვით,
 ქართულ ფენომენს გვირგვინს ადგამდი,
 ეროვნულობა - სტრიქონში ჩარგვით
 შემოგვიჩინავე,
 ან და მარადის, შენ მწერალო, შენი
 ქართულით.
 ხმალზე ძლიერად კვეთავდი სივრცეს,
 მსოფლიოს არქვი, რომ საქართველო
 და ქართველობა -
 მარადის ღირდეს, ბატონო რეზო, შენი
 ხმალია,
 ერისთვის სიტყვა, სიტყვა ჩანწული
 ტომთა პნკარებში.
 დღეს ვეძებთ მწერლებს, ვეძებთ
 პოეტებს,
 ვინც რომ დაწერს და დაშანთავს
 სიტყვას
 და გაჰკვეთს სივრცეს დროთა თარეში.
 მწერალი ვიცი ერის მოძღვარად,
 ვითარც რომ „ქრისტე“, ვითარც
 „ნამება“, -
 ბასრი იარაღი და ბასრი სიტყვა,
 მიშველაძეს რომ არ ესწავლება.
 ვით მოგეფეროთ, დიდო ოსტატო,
 აფხაზეთს დაეცაო, არჩილზე ითქვა
 კალამი დავარდა, გატყდა, გაიბზარა
 სიტყვა.

დიდი ბერძენა არ დაცემულა,
 მწერლის დაცემა ვინ თქვა
 სამშობლო მხრებით ატარე ,
 გულზე დაიდე ტიტრად,
 დარჩა ტკივილი, დარჩა სამშობლო,
 სიომ დაქროლა, ქვეყნის პატრონად -
 კვლავ ისმის მწერლის სიტყვა,
 დროთა დევნაში, ლოდინით დაღალულს
 თვალი მოსტაცე მთვარეს მივარდნილს
 მწერლის დაცემა ვინ თქვა.

ლუარა ნიჟარაძე
 29.03.2022 წ.
 იტალია, ფლორენცია



ბაბრატ ბაღიდი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი მშვენიერი შემოქმედი დაკარგა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ბაბრატ ბაღიდი (ელგუჯა ტარასის ძე გელენავა) ერთი გულ-დამწვარი ტრუბადური მშობელი ქვეყნისა.

ბაბრატ ბაღიდი დაიბადა 1948 წლის 11 თებერვალს სოხუმში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1973 წელს დაასრულა.

ბაბრატ ბაღიდი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და თავისი წვლილიც შეიტანა ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში. 2008-2011 წლებში რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ „სალიტერატურო გაზეთს“ და მედგრად ილაშქრებდა იმდროინდელი ანტიქართული ხელისუფლების ტირანის წინააღმდეგ.

ბაბრატ ბაღიდი ქართველ მწერალთა იმ გუნდს ეკუთვნოდა, რომელმაც ფეხი აფხაზეთში - საქართველოს ამ ძირძველ, უმშვენიერეს, მაგრამ ქრისტესავე ჯვარცმულ კუთხეში აიღვა. მისი პოეტური კურთხევა 1964 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსები. სწორედ აფხაზეთში ჩამოყალიბდა ბაბრატ ბაღიდი მოაზროვნე, ქვეყნის აკარგზე დაფიქრებულ პოეტად. მას შემდეგ მისი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ბაბრატ ბაღიდის პოეტური კრებულები „ცადამალეობა“, „მე ვარ ვენახი ჭემმარიტი“, „Fatum“, „აფხაზური რაფსოდია“, „უსამშობლოთა სამშობლო“, „როდესაც დუმან, ყვირიან“, „მონატრება“, „გალაკტიონი“, რჩეული და სხვები შეიყვარა ქართველმა მკითხველმა თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ნაღდი პოეზიის საუფლოში გვეპატიჟებია.

ბაბრატ ბაღიდი არაერთი თარგმანით გაამდიდრა ქართული ლიტერატურა, თარგმნა რა უილიამ შექსპირის, გოეთეს, ედგარ ალან პოს, რედიად კიპლინგის, ჰორაციუსის, მუსეოსის, ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, არტურ რემბოს, შარლ ბოდლერის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები.

ბაბრატ ბაღიდის მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა აკაკი წერეთლის, ივანე მამბლისა და გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ ბაბრატ ბაღიდი - მშვენიერი პოეტი, ერთგული შვილი საქართველოსა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რევაზ ართილაყვა

საქართველოს მწერალთა კავშირმა მტკივნეული დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რევაზ კალისტრატეს ძე ართილაყვა. ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მცხოვანი, ღვანწმოსილი შემოქმედი, რომელიც მისი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში მუდამ მშობელი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებით ცხოვრობდა და სხვებსაც ჩინებულ მაგალითს აძლევდა იმისა, თუ როგორ უნდა გიყვარდეს შენი სამშობლო, შენი ერი..

რევაზ ართილაყვა დაიბადა 1930 წლის 4 ნოემბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათში. საშუალო განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო. 1955 წელს კი ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა.

მას შემდეგ რევაზ ართილაყვა სხვადასხვა დროს მუშაობდა აჭარის კულტურის სამინისტროს მეთოდისტად, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ლიტმუშაკად, გამოცემლობა „აჭარის“ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროს რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილების გამგედ და ყველგან პროფესიონალიზმით და საქმის ცოდნით გამოირჩეოდა, ყველგან სათანოდისა და სიყვარულის წმიდათაწმიდა იდეალებს ემსახურებოდა.

რევაზ ართილაყვას პირველი სამწერლო ნაბიჯები კრებულ „აჭარის ლიტერატურულ ახალგაზრდობას“ უკავშირდება, სადაც 1956 წელს მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა. მას შემდეგ ამ ჩინებული შემოქმედის ნაწარმოებები- ლექსები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.


რევაზ ართილაყვას პოეტურ კრებულებში („ცა ვარსკვლავებით სავსე“, „ღია სარკმელი“, „წყურვილი“, „აგუნა“, „მნიფობისთვე“, „მის-ამართები“, „სიჩქარე“, „უსასრულობა“, „ფუძის სიტბო“, „ქვიშის საათი...“) დავანებულ ლექსებს, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეული სიბრძნე, გულწრფელობა და უშუალო გამოარჩევს. ამ ლექსების გაცნობის შემდეგ ხომ თითოეული ჩვენგანი ფიქრობს იმ მარადიულ ღირებულებებზე, რომელთა გამო ვსულდგმულობთ და ვიღვნივით, რომელთა გამო დაუფიქრებლად ვტოვებთ სიცოცხლეს... ამ ლექსების ლირიკულ გმირს გულზე ლახვარივით ესობა მწუხრის ზარების გახშირებული რეკვა, ებრძვის საავდრო ღრუბლებად მოჯარებულ ამაზრზუნ ფიქრებს და სუნთქვა - შეკრული ელის დავითს - საქართველოს შეგებასა და ხსნას, თუმცა ისიც გასიგრძელებული აქვს, რომ დავითი - მესიის მახვილი მხოლოდ მაშინ მოველინება ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას, როცა ამგვარი მადლის ღირსი იქნება ქართველობა. მანამდე კი თავადაც იბრძვის, ქართულ ენას უდგას მეციხოვნედ...

რევაზ ართილაყვას ლექსებზე, რომლებიც უცხოურადაც ითარგმნა, არაერთი ჩინებული სიმღერა შეიქმნა.

რევაზ ართილაყვას თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ათანას დალჩევის, ზულფიას, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბელა ახ-მაღლინას, იანის პეტერსის, ალექსანდრე მეთუროვის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს, ივან ეფრემოვის რომან „თაის ათენელს“, იორდან რადიჩკოვის ვრცელ მოთხრობას „მოგონებები ცხენებზე“.

რევაზ ართილაყვამ საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები უძღვნა შოთა როყვას, დავით ნაცვალაძის, ნოდარ ჯაღალღიას, ნოდარ მოდებაძის შემოქმედებას.

რევაზ ართილაყვას მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება სათანადოდ დაფასდა. იგი დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით და მედლით, მინიჭებული ჰქონდა ივანე მამბლისა და კოლაუ ნადირაძის სახელობის პრემიები. ქართული კულტურის ამგდარის საპატიო ნოდება. ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ რევაზ ართილაყვა - ჩინებული შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე და პიროვნება.



საქართველოს მწერალთა კავშირი

<p>საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი</p> <p>თინათინ კუპაშვილი</p> <p>და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს</p>	<p>საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა ქეთი შენგელიას მამა</p> <p>ალიოზა შენგელია</p> <p>და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს</p>	<p>საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი</p> <p>ავთანდილ გუმბაშვილი</p> <p>და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს</p>
--	--	--